ლელო

№30
(10990)
15-18 ივნისი. 1996 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

Atlanta 1996

მივდივართ, მიგვიხარია...

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთობლივი პრესკონფერენცია

ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაფრის დეფიციტთან ერთად, სიტყვის კაცის დეფიციტიც მოიტანა. რამდენი დაპირება დარჩა შეუსრულებელი, დამპირებლებმა და სიტყვის გამტეხებმა იხეირეს, საქმეს კი საშველი არ დაადგა. სიმართლე რომ ითქვას, ბევრს, განსაკუთრებით გულგატეხილებს, არ სჯეროდათ გალატაკებულ ჩვენს ქვეყანაში თუ სპორტი კიდევ შეძლებდა ტრადიციების შენარჩუნებას. სპორტის მესვეურები, დარგის სახელმწიფო დეპარტამენტიდან და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან, დაჯერებულად იძლეოდნენ პირობას, რომ ატლანტის ოლიმპიადისთვის ღირსეულად მოემზადებოდნენ, ასახელებდნენ ოლიმპიელთა რაოდენობის კონკრეტულ ციფრსაც კი. სიტყვა საქმიანი გამოდგა. ახლა ყველამ იცის, რომ ჩვენმა რჩეულმა ათლეტებმა სავარაუდოზე გაცილებით მეტი საოლიმპიადო ლიცენზია მოიპოვეს. დიახ, მთავარია შედეგი, შედეგი კი, როგორც იტყვიან, ყველაზე უტყუარი არგუმენტია. სხვა საკითხია რა ძალისხმევა დასჭირდა სიტყვის საქმეში გარდასახვას, მაგრამ ამის ანალიზს არავინ ითხოვს, თვითრეკლამა არავის სჭირდება — საქმემან შენმან გამოგაჩინოს!

სხვათა შორის, მიღწეულით თავის მოწონებისა და თვითრეკლამის იერი არც იმ პრესკონფერენციას დაჰკრავდა, რომელიც ამ დღეებში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ქვეყანაში სპორტის ამ მეთაურმა ორგანიზაციამ და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამართა ერთობლივად. დეპარტამენტის თავმჯდომარემ კ. ასათიანმა, მისმა პირველმა მოადგილემ და სეოკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. ბაგრატიონმა, სეოკის პრეზიდენტმა ნ. გაფრინდაშვილმა და გენერალურმა მდივანმა ე. ზენაიშვილმა უფრო მეტი იმათზე ისაუბრეს, ვინც მხარში ედგა ჩვენს ოლიმპიურ მოძრაობას. პირველ ყოვლისა, უდიდესი მადლიერებით მოიხსენიეს ხელისუფლება, პირადად ქვეყნის პრეზიდენტი, რომელთა წვლილის შედეგია, რომ მოახლოებული ოლიმპიური თამაშების წინ თითქმის ყოველგვარი პრობლემა მოხსნილია.

ცხადია, პრესკონფერენცია ჟურნალისტებისთვის სხვა საინტერესო ინფორმაციის გარეშეც ვერ ჩაივლიდა. აი, ზოგიერთი ფაქტი: საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას შეემატა მძლეოსანი ელვირა ურუსოვა, რომელმაც ძმები ზნამენსკების მემორიალზე დამაჯერებლად მოიპოვა ატლანტის ლიცენზია; მესტენდურმა თამაზ იმნაიშვილმა ამ დღეებში, გერმანიაში, საერთაშორისო ტურნირზე 150 შესაძლებლიდან 149 ქულა მოაგროვა, მაგრამ ეს რეკორდი რამდენიმე წუთში მოხსნა იტალიელმა — 150-დან 150! კაცმა რომ თქვას, იმნაიშვილის ასეთი შედეგი და მეორე ადგილი რატომ არ უნდა ღირდეს ოლიმპიადის ლიცენზიად? ფიქრობენ, რომ ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება. ოფიციალურად ელის ლიცენზიას აგრეთვე ჩვენი ტანმოვარჯიშე ეკა აბრამია; ატლანტაში ხელდამშვენებული ჩავა ჩვენი დელეგაცია — მზადდება საინტერესო ფილმი და საცნობარო მასალები საქართველოზე, ქართულ სპორტზე და ოლიმპიელებზე, ქართული სახლი ატლანტაში ცენტრის-ცენტრში უთუოდ იქნება მსოფლიო სპორტული სამყაროს და არა მარტო ამ სამყაროს ყურადღების ფოკუსში; ღირსეულად რომ წარმოვჩნდეთ ოლიმპიადაზე, ბევრ ორგანიზაციულ საკითხს უნარიანად აგვარებს ატლანტაში ჩვენი ოლიმპიური ატაშე ადგილობრივი ბიზნესმენი კელვინ ჰილი.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ საქართველოს სპორტული ჟურნალისტები სოლიდურად იქნებიან წარმოდგენილნი თამაშებზე — ჩვენს 4-5 სპორტსმენზე, ფაქტობრივად, ერთი ჟურნალისტი მოდის, რაც საუკეთესო პროცენტული მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

და ბოლოს, ერთი სურვილის შესახებ, რომელიც პრესკონფერენციაზე გამოითქვა — კარგი იქნება თუ ხელისუფლება მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ოლიმპიელთათვის გამოყოფილ საპრიზო ფონდიდან თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები თანხებს სრულად, დაბეგვრის გარეშე მიიღებენ.

17 ივნისს იწყება თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ოლიმპიური კვირეული

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტსაზოგადოებები „შევარდენი“ და „მართვე“ კვირეულის პროგრამით ატარებენ მასობრივ სპორტულ შეჯიბრებებს დევიზით: „სპორტი ყველასათვის!“ გთავაზობთ გრაფიკს: **ჩოგბურთი.** 17-18 ივნისი. „შევარდენის“ კორტები (დ. აღმაშენებლის 117). 11. სთ. **თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** 18-19.06. დინამოს მასივის დარბაზი. 11 სთ. **მძლეოსნობა.** 18.06. პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლე (დიდუბე) 12 სთ. **ველოსპორტი (ტრეკი).** 19-22.06. ველოტრეკი (უზნაძის, 69) 17 სთ. **ფრენბურთი.** 19-23.06. (ჩუღურეთის სპორტსკოლა.) 15 სთ. **ჭადრაკი.** 21.06. (შრომის სასახლე). 13 სთ. **მძლეოსნობა.** 21-22.06. ეროვნული სტადიონი. 12 სთ. **კიკბოქსინგი.** 22.06. სპორტკომპლექსი „იმედი“. 12 სთ. **ცურვა.** 22.06. „იმედი“. 13 სთ. **კარატედო.** 22.06. ვერის პარკი. კალათბურთის კომპლექსი. 12 სთ. **მძლეოსნური გარბენი.** 23.06. მარშრუტი: სპორტის აკადემია — თავისუფლების მოედანი. 12 სთ.

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

UEFA EURO 96 England

	„A“ ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ინგლისი	▨	1-1				
2	შვეიცარია	1-1	▨	0-2			
3	ჰოლანდია		2-0	▨	0-0		
4	შოტლანდია			0-0	▨		

8.06	ინგლისი	—	შვეიცარია	1-1
10.06	ჰოლანდია	—	შოტლანდია	0-0
13.06	შვეიცარია	—	ჰოლანდია	0-2
15.06	შოტლანდია	—	ინგლისი	
18.06	შოტლანდია	—	შვეიცარია	
18.06	ჰოლანდია	—	ინგლისი	

	„B“ ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ესპანეთი	▨	1-1				
2	ბულგარეთი	1-1	▨	1-0			
3	რუმინეთი		0-1	▨	0-1		
4	საფრანგეთი			1-0	▨		

9.06	ესპანეთი	—	ბულგარეთი	1-1
10.06	რუმინეთი	—	საფრანგეთი	0-1
13.06	ბულგარეთი	—	რუმინეთი	1-0
15.06	საფრანგეთი	—	ესპანეთი	
18.06	საფრანგეთი	—	ბულგარეთი	
18.06	რუმინეთი	—	ესპანეთი	

	„C“ ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	გერმანია	▨	2-0				
2	ჩეხეთი	0-2	▨				
3	იტალია			▨	2-1		
4	რუსეთი			1-2	▨		

9.06	გერმანია	—	ჩეხეთი	2-0
11.06	იტალია	—	რუსეთი	2-1
14.06	ჩეხეთი	—	იტალია	
16.06	რუსეთი	—	გერმანია	
19.06	რუსეთი	—	ჩეხეთი	
19.06	იტალია	—	გერმანია	

	„D“ ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	დანია	▨	1-1				
2	პორტუგალია	1-1	▨				
3	თურქეთი			▨	0-1		
4	ხორვატია			1-0	▨		

9.06	დანია	—	პორტუგალია	1-1
11.06	თურქეთი	—	ხორვატია	0-1
14.06	პორტუგალია	—	თურქეთი	
16.06	ხორვატია	—	დანია	
19.06	ხორვატია	—	პორტუგალია	
19.06	თურქეთი	—	დანია	

„B“ ჯგუფის მეორე წრის პირველ შეხვედრაში — ბულგარეთი-რუმინეთი სიურპრიზების მოყვარულთათვის კარგი „ულუფა“ იყო ის, რომ სტოიჩკოვმა სარეკორდო დროში, მატჩის მესამე წუთზე გახსნა ანგარიში, ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ „ცივი შხაპი“ უნდა ყოფილიყო მეტოქისათვის, მაგრამ წარმოიდგინეთ, რუმინელები არ შედრკნენ და მთელი ძალით ეკვეთნენ მეტოქის ნახევარს. გამოირჩეოდა ჰაჯი-პოპესკუ-მუნტიანუს ტრიო, რომელიც ხანგრძლივი დაწოლით ავიწროებდა მეტოქის დაცვას, რაც ძვირად დაუჯდათ ბულგარელებს და ნახევარმცველი კოსტადინოვი თავგანწირულ ორთაბრძოლაში დაშავდა კიდეც...

მალე მეტოქის საჯარიმოში შეჭრილმა მუნტიანუმ ძლიერი დარტყმით კარისაკენ გაგზავნა ბურთი, რომელიც ზედა ძელს მოხვდა და კარის ხაზის შიგნით დაეშვა. მაგრამ დანიელ არბიტრ მიკელსენის სასტვენი დუმდა. ამ მომენტზე ასე დაწვრილებით არ ვიტყოდით, რადგან ტელევიზიით ნანახი თამაში, სულ სხვა „კუთხით ჩანს“. მატჩის შემდგომ, იტალიის ტელეკომპანია რაი დუემ, საგანგებოდ, რამდენჯერმე შენელებული კადრით დააფიქსირა ეს მომენტი, სადაც თვალნათლივ გამოჩნდა ზედიზედ გოლი, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილება შეუვალია და რუმინელებმა მეორე დამარცხება (პირველი ფრანგებთან იყო) განიცადეს. ამჯერადაც მათ შორის გამოირჩეოდა ჰაჯი, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს. რუმინელთა ნაკრებს კი შეჯიბრების მომდევნო ეტაპზე გასვლის იმედი გადაეწურა.

ნიდერლანდელთა („A“ ჯგუფი) გუნდში კვლავ წარმატებით აგრძელებს გამოსვლას კრუიფთა მოდგმა. სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, თუ რა სასწაულებს ახდენდა სამოცდაათიანი წლების ჰოლანდიის ნაკრებში უფროსი კრუიფი. დღეს კი მისი ვაჟი — ჯორდი გახლავთ გუნდის თავდასხმის ლიდერი, რომლის გოლმა შეხვედრის 65-ე წუთზე გატეხა შვეიცარიელთა წინააღმდეგობა, რასაც მალე მისი პარტნიორის ბერგკამპის ინდივიდუალური გარღვევა და მეორე გოლი მოჰყვა. დარჩენილ დროში შვეიცარიელებმა ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეს და ბულგარელმა არბიტრმა უზუნოვმა ჰოლანდიის გუნდის გამარჯვება დააფიქსირა 2-0.

უკან დარჩა კონტინენტის საფეხბურთო პრემიერა და წინაა გადამწყვეტი მატჩები მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ ფეხბურთის მოყვარულები დღესვე ვარაუდობენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულებს. ყველას ყურადღება, რა თქმა უნდა, „C“ ჯგუფისკენაა მიმართული, სადაც ასპარეზობის გასაგრძელებლად იბრძვიან რუსეთის, გერმანიის, იტალიისა და ჩეხეთის გუნდები.

ტელეეკრანებს ნუ მოსცილდებით

ევროპის ჩემპიონატით დაინტერესებულ მკითხველებს ერთხელ კიდევ ვთავაზობთ ჯგუფური ტურნირების მატჩების ტელერეპორტაჟებს ინგლისიდან.

		არხი	დრო
15.06	შოტლანდია — ინგლისი	2	18.55
	საფრანგეთი — ესპანეთი	1	24.10
16.06	რუსეთი — გერმანია	2	18.55
	ხორვატია — დანია	1	22.55
18.06	საფრანგეთი — ბულგარეთი	1	22.40
	ჰოლანდია — ინგლისი	2	23.25
	შოტლანდია — შვეიცარია	1	1.20
19.06	რუმინეთი — ესპანეთი	2	12.35
	ხორვატია — პორტუგალია	1	22.40
	რუსეთი — ჩეხეთი	1	23.20
	იტალია — გერმანია	2	1.40
20.06	თურქეთი — დანია	2	12.35

დრო ყველგან თბილისისაა.

რუმინეთ-ესპანეთისა და თურქეთ-დანიის შეხვედრათა ტელერეპორტაჟი ნაჩვენები იქნება მეორე დღეს, დილით.

ხუთი რგოლის გარშემო

„რიბოკი“ და ოლიმპიადა

სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ცნობილი ფირმა „რიბოკი“ ერთ-ერთი იმათთაგანია, რომლებიც ღირსეულად იქნებიან წარმოდგენილნი ატლანტის ოლიმპიადაზე. „რიბოკის“ შეკერილი ფორმით შვიდი ქვეყნის სპორტული დელეგაცია გამოვა ალლუმზე. საგულისხმოა, რომ ტანსაცმლის ზომები სარეკორდოა — 19. ყველაზე დიდი ზომის ფორმით ისპარეზებენ კალათბურთელები და ფრენბურთელები, ყველაზე პატარით — ტანმოვარჯიშეები. იმ შვიდ ქვეყანაში, სხვათა შორის, რუსეთიც შედის.

ივაჭრეთ, ოღონდ...

ჯორჯიის შტატში კანონით იკრძალება სპირტიანი სასმელებით დღელამური ვაჭრობა, მაგრამ ოლიმპიადის დღეებისათვის დაუშვეს გამონაკლისი და... მაგარი სასმელები გაიყიდება მთელი 24 საათის განმავლობაში. ოღონდ ეგაა, ამ უფლების მიღებისათვის ვაჭარმა 5.000 დოლარად ღირებული ლიცენზია უნდა შეიძინოს.

„სპიდოს“ რეკორდი

ჯერჯერობით თავისებური რეკორდი დაამყარა საცურაო კოსტუმების მწარმოებელმა ცნობილმა ფირმა „სპიდომ“. წლეულს ამ ფირმამ სპეციალური ხაზი დაამონტაჟა (რაც მილიონნახევარი დოლარი დაჯდა) ახალი მოდელის დასამზადებლად. სიახლის ღირსება ისაა, რომ 23 პროცენტით ამცირებს წყლის წინააღმდეგობას. ეს კოსტიუმი მხრებიდან მუხლებამდე ფარავს მოცურავის სხეულს. მოდელი ერთია ქალებისთვის და ვაჟებისთვის.

„სპიდოს“ ნაწარმით ატლანტაში ისპარეზებს... 40 ქვეყნის ეროვნული ნაკრები.

რატომ მოიძულეს ბადმინტონი?

აშშ-ის ტელეკომპანია NBC-მ გადაწყვიტა არ გადასცეს ბადმინტონისტთა შეჯიბრებები. ეს მართლაც უცნაურად ჟღერს თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ბადმინტონი სპორტის იმ სახეობათა რიცხვში მოხვდა, რომელთა ხილვა ყველაზე მეტად აინტერესებდა ტელემაყურებელს.

თქვენ შეგიძლიათ წარსდგეთ და წარმოადგინოთ!

„ლელო“ ამიერიდან მოამზადებს თემატურ გვერდებს დაკვეთით. ახლახანს ჩვენი მკითხველი გაეცნო თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მიერ წარმოდგენილ მასალებს. დღეს (იხ. მე-3 გვ.) საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია წარმოგიდგენთ საჭადრაკო სამყაროს ახალ ამბებს.

რედაქცია მზადაა დაეხმაროს ყველას, ვისაც სურს თავისი საქმიანობით და მკითხველისთვის საინტერესო მასალებით წარსდგეს „ლელოს“ ფურცლებზე.

კარატედოს ევროპის ჩემპიონატს შეიძლება საქართველომ უმასპინძლოს

ახლახან საქართველოს შოტოკან კარატედო ფედერაციის (პრეზიდენტი კ. ბასილია) მოწვევით, როგორც ვიუწყებოდით, თბილისს ეწვია მსოფლიოს შოტოკან კარატედო ფედერაციის (W.S.K.F.) ფუძემდებელი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, კარატეს მეშვიდე დანის მფლობელი შიხანი ჰიტოში კასუია.

ჩამოსვლისთანავე სტუმარმა გამართა პრესკონფერენცია, იმავე საღამოს კი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტულ დარბაზში გაიმართა პირველი სემინარი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მრავალი კარატისტი.

ჰიტოში კასუია დაესწრო სოფ. ძალისში გამართულ ქართულ ჭიდაობას, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სტუმარი შეხვდა ჩვენს გამოჩენილ ფალავნებს დ. ციმაკურიძესა და ვ. ბალავაძეს. მოიხიბლა ეროვნული ცეკვებით და სიმღერებით. ოსტატმა აღნიშნა, რომ ჩვენი ხელოვნება (სხვა ღირსებებთან ერთად) გამსჭვალულია უდიდესი საბრძოლო სულით. ჩატარდა ატესტაციები ქართველი ინსტრუქტორებისათვის.

შიხანი ჰიტოში კასუიას თბილისში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი, საქართველოში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობის შესწავლა იყო. იგი კმაყოფილი დარჩა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კი სპორტულ ჟურნალისტებს განუცხადა: „თქვენს ქვეყანას ყველა პირობა გააჩნია, რომ აქ ევროპის ჩემპიონატი ჩატარდეს“. სტუმარი ეწვია საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და ესაუბრა თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ჯ. ბაგრატიონს.

დიდი წვლილი ამ ვიზიტის ორგანიზებაში შეიტანა საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, პირადად გიორგი ბარამიძემ და თენგიზ კიკნაძემ, რომლებიც საქართველოს შოტოკან კარატედო ფედერაციას შექმნის პირველივე დღეებიდანვე აქტიურად ეხმარებიან.

გამგზავრების წინ საპატიო სტუმარმა განაცხადა: — „როგორც კარატეს სწავლაა შეუძლებელი მხოლოდ წიგნებიდან და ვიდეოფირებიდან, ისევე შეუძლებელია ქვეყნის გაცნობა ტელერეპორტაჟებითა და საგაზეთო პუბლიკაციებით. მე ძალიან მომეწონა საქართველო და მოხარული ვიქნები მისი ხშირი სტუმარი ვიყო!

სააგენტო „გუმათე“

ხელბურთი ● საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

გასულ კვირას ფოთის სპორტსკოლის დარბაზში ხელბურთელთა ორი შეჯიბრება გაიმართა.

ქალთა ეროვნული ჩემპიონატის დასკვნით ტურში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს უცვლელმა ჩემპიონმა, თბილისის „მართვემ“ (მწვრთნელები ზაალ სიხარულიძე და ვილი ვარამაშვილი), რომელსაც ვადამდე უკვე განაღდებული ჰქონდა პირველობა, სამივე მეტოქე ამჯერადაც იოლად დაამარცხა და ისე დაასრულა ჩემპიონატი, რომ 22 შეხვედრაში ქულაც კი არ დაუკარგავს.

მეორე ადგილზე გავიდა ფოთის „კოლხეთი“ (30 ქულა), მესამეზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (22). მეოთხე იყო ქუთაისის ნაკრები (18).

დასკვნითი ტურის შედეგები:

7 ივნისი

ქუთაისის ნაკრები — თსუ 30:19,
„მართვე“ — „კოლხეთი“ — 26:20.

8 ივნისი

„კოლხეთი“ — ქუთაისი — 32:27,
„მართვე“ — თსუ 24:15

9 ივნისი

„მართვე“ — ქუთაისი 26:19, „კოლხეთი“ — თსუ 29:15

პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ქეთევან გაგულიას ხსოვნის ტურნირი. ვეტერანი ხელბურთელების, ქალბატონ ქეთევანის აღმზრდელების თაოსნობით მოწყობილ ამ შეჯიბრებაში ვაჟთა 8 გუნდი ჩაება — ფოთის (6), ბათუმისა და სენაკის. ნახევარფინალში ფოთელმა ვეტერანებმა სენაკელები დაამარცხეს — 14:10, ხოლო „არგომ“ — ფოთის საბაჟოს გუნდი — 26:20.

ფინალურ შეხვედრაში „არგომ“ იმარჯვა — 26:23 და ცნობილი მხატვარ-დიზაინერის სერგო სავანელის მიერ დამზადებულ გარდამავალ თასს დაეუფლა.

სურათზე: ხელბურთში საქართველოს 1996 წლის ჩემპიონი ქალთა შორის თბილისის „მართვე“. პირველ რიგში — ინგა იუხანოვა, ელენე არაბული, მადონა ორმოცაძე, ელისო ჟურულიშვილი, ეკა წივწივაძე; მეორე რიგში — ზაალ სიხარულიძე (მწვრთნელი), ირინა ახალშენიშვილი, ლია ნემსიწვერიძე, მაია გნოლიძე, ნინო წივწივაძე, ეკა ჟიჟიაშვილი, ველი ვარამაშვილი (მწვრთნელი).

გია ახალაძის ფოტო

კადრების მომზადება უცხოეთში

ინდოეთის სპორტის ეროვნული ინსტიტუტი

60-იან წლებში საბჭოთა კავშირი ინდოეთთან ურთიერთობაში თავისი ინტერესების და ცხოვრების წესის შეფარვით თავსმოხვევის კურსს ატარებდა. მაშინ, მანამდეც და შემდეგაც საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ უმართავდა ხელს განვითარებად ქვეყნებს კადრების მომზადებაში და ამ შემწეობაში უხილავი ზრახვები გაცილებით მეტი იყო ვიდრე ხილული. სპორტის სფეროში ინდოეთისათვის სპეციალისტთა მომზადება ინტენსიურად წარმოებდა, როგორც სსრ კავშირში, ისე მის ერთგულ ქვეყანაში — გდრ-ში.

60-იანი წლების დასაწყისში წამოიჭრა ინდოეთშივე სპორტის სპეციალისტთა მომზადების უმაღლესი სასწავლებლის შექმნის საკითხი. კონსულტაციებს, ცხადია, პირველ ყოვლისა, მოსკოვიდან იღებდნენ, მოდელი და პროგრამაც შესთავაზეს. რაღა თქმა უნდა, საბჭოთა სისტემაში აპრობირებული. გადაწყვეტილების მიღება არ გაჭიანურებულა და უკვე 1961 წელს, ქალაქ პატიალაში, გაიხსნა სპორტის ეროვნული ინსტიტუტი. დიახ, სწორედ სპორტისა და არა ფიზიკური კულტურისა და სპორტის, როგორც ამას მოსკოვი სთავაზობდა. ფიზკულტურა, რომელიც სათავეს ოქტომბრის რევოლუციის მომდევნო წლებიდან იღებს (გაიხსენეთ პროლეტარული კულტურა, პროლეტარული ფიზიკური კულტურა და ა.შ.). ინდოელებს, ისევე როგორც მათზე უფრო განათლებულ და კულტურულ ქვეყნებში, საერთოდ არ ესმოდათ თუ რას ნიშნავდა ფიზკულტურა. ასე რომ, ახალშექმნილ ინსტიტუტს სპორტის ინსტიტუტი უწოდეს, ხოლო ნაცვლად ფიზკულტურისა დაამკვიდრეს საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი „სპორტი ყველასათვის“. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ლორდმა მ. კილანინმა ამ ინსტიტუტში სტუმრობისას აღნიშნა: „თქვენ უდიდესი პოტენციალი გაგაჩნიათ. დევიზი „სპორტი ყველასათვის“ თანმიმდევრულად ტარდება ცხოვრებაში“.

გახსნის დღიდან ინსტიტუტმა მოამზადა ათი ათასობით სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ მთელ ინდოეთში. საგულისხმოა, რომ ინსტიტუტდამთავრებულთა შორის არიან უცხოელებიც — ნეპალიდან, ბანგლადეშიდან, ნიგერიიდან, განიდან, ფიჯიდან, კენიიდან, ეთიოპიიდან, სხვა ქვეყნებიდან.

ინსტიტუტს გააჩნია მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. მაგალითად, ე.წ. „ოსტატთა კურსი“ 22 თვიანია, „ჩვეულებრივი“ — 10 თვიანი, არის აგრეთვე 6-კვირიანი სწრაფი მომზადების კურსები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები მხოლოდ მწვრთნელებისათვის და ა.შ.

სპორტის ეროვნული ინსტიტუტი მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდა-დაოსტატების ცენტრადაც იქცა. ფაქტობრივად საერთაშორისო სპორტულ არენაზე მოპოვებული მაღალი წარმატებების 80-90 პროცენტი ამ ინსტიტუტზე მოდის. განსაკუთრებით გამოირჩევიან მოჭიდავეები, მოკრივეები, მძლეოსნები, ბალახის ხოკეის, ცურვის, ბადმინტონის, ფრენბურთის, ჩოგბურთის და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

მთავრობამ ინსტიტუტს მიანიჭა მონოპოლიური უფლება შეიძინოს საუკეთესო სპორტული ინვენტარი და მოწყობილობები, რაც უპასუხებს საერთაშორისო ფედერაციების მოთხოვნებს, მეცნიერულ დონეზე აღჭურვონ სპორტული და საწვრთნელი ბაზები, ასევე მეცნიერული ხელმძღვანელობა გაუწიონ ეროვნულ ნაკრებ გუნდებს და ა.შ. გაითვალისწინეს რა ინსტიტუტის დიდი მიღწევები და შესაძლებლობები, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, აზიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი ტრადიციულად ამ სასწავლებელს ანდობს მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას.

ამჟამად ინსტიტუტს დიდი წვლილი შეაქვს XXV1 ოლიმპიური თამაშებისათვის ინდოეთის სპორტსმენთა მომზადების საქმეში.

მოამზადა **ცოტნე ბაქრაძემ**

მეკლდეურობა

კაცხი კვლავ უხმობს...

ლეგენდარული კაცხის კლდეებზე დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი კლდეზე ცოცვაში, რომელიც გამოჩენილ მთამსვლელთა ჭაფარიძეების ოჯახს მიეძღვნა.

პარალელურად ტარდებოდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა. გუნდური გამარჯვება ლენტეხელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე თბილისის I და II გუნდებია. ვაჟთა რთულ ცოცვაში უძლიერესია ლენტეხელი ნუკრი გველებიანი, შემდეგ მოდიან მესტიელი ზაზა გურჩიანი და თბილისელი ვანო გაბროშვილი.

გოგონებში I-II ადგილები გაიყვეს: მესტიელმა ნინო ჩარკვიანმა და თბილისელმა ეკა ჭკადუამ.

წყვილთა გარბენში პრიზიორები გახდნენ: 1. ზაზა გურჩიანი, 2. ნუკრი გველებიანი, 3. მირზა ლიპარტელიანი (ლენტეხი). გოგონები: 1. ნინო ჩარკვიანი, 2. ეკა ჭკადუა, 3. ლია ყამარაული (თბილისი II).

ასპარეზობას სპონსორობა გაუწია ფირმა კკკ-ს თავმჯდომარემ კობა კობერიძემ.

თავისუფალი ჭიდაობა. მარცხნიდან: პირველ რიგში — ზ. სახვაძე, გ. ირემაძე, დ. გოგილაშვილი; მეორე რიგში — გ. ფასურიშვილი, თ. ბენდიანიშვილი, დ. ოთიაშვილი, ნ. ალშიბაია, ვ. გარუჩავა, გ. გობეჯიშვილი, ა. ბილანიშვილი, გ. კოტიშაძე.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პირველ რიგში — მ. ფერაძე, თ. თხილაიშვილი, მეორე რიგში — დ. ქინქლაძე, ვ. გოგიაშვილი, გ. ჯობავა, ვ. კრავეიშვილი, ზ. ნებუნიშვილი, ა. კოვზირიძე.

ვინც ირჯება — უფასდება!

სურათები, რომლებსაც აქვე გთავაზობთ, ამ თვის პირველ დეკადაშია გადაღებული ირანში, კერძოდ ქ. შარეკორდში, სადაც ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამარჯვებისთვის იბრძოდნენ 15-16 წლის ყმაწვილები აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, დაღესტნიდან, ტაჯიკეთიდან, ყირგიზეთიდან, ერაყიდან, მასპინძლებმა კი ექვსი გუნდი წარმოადგინეს.

თავისუფალ ჭიდაობაში მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ (ირანის შემდეგ) საქართველოს წარგზავნილები, მესამე ადგილი თურქეთის ნაკრებს ხვდა წილად. ტურნირის გამარჯვებულის წოდება მოიპოვა 95 კგ წონის თბილისელმა დავით ოთიაშვილმა. მეორე საპრიზო ადგილებზე აღმოჩნდნენ: ქუთაისელი გიორგი ირემაძე (55 კგ), ზურაბ სახვაძე (65), გიორგი გობეჯიშვილი (70), ვანო გარუჩავა (76, სამივე — თბილისი) და ზუგდიდელი ნიკო ალშიბაია (83), ბრინჯაოს მედალს დაეუფლა ყვარლელი დიმიტრი გოგილაშვილი (47).

„კლასიკოსთა“ შორის ტოლი არავის დაუდო ზვიად ნებუნიშვილმა (70, სოფ. გამარჯვება), ოზურგეთელი თემურ თხილაიშვილი (55) და წყალტუბოელი ალექსანდრე კოვზირიძე (76) ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, ბრინჯაოსას — თბილისელი მანუჩარ ფერაძე (40) და გიორგი (83) ჯობავა.

აქაც გუნდური პირველობა ირანელებს დარჩათ, მეორეა თურქეთის, მესამე — საქართველოს ნაკრები.

გუნდები მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა თამაზ ბენდიანიშვილმა და ვაჟა კრავეიშვილმა, ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ბილანიშვილი.

გათამაშდება გივი ჩოხელის სახელობის თასი

წარსულში სახელოვანი სპორტსმენის, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ევროპის 1960 წლის ჩემპიონის, პოლიციის პოლკოვნიკის, სამაგალითო მოქალაქის გივი ჩოხელის ხსოვნის უკვდავსაყოფად, შს სამინისტროს აკადემიის ხელმძღვანელობის ინიციატივით, გლდანის ხელბურთის სპორტულ კომპლექსში 24 — 29 ივნისს ტარდება გივი ჩოხელის სახელობის თასის გათამაშება მინიფეხბურთში.

მონაწილეობს შსს სისტემის 8 გუნდი. ტურნირი ტარდება ჯერ ჯგუფური, შემდეგ ოლიმპიური სისტემით. თამაშების დასაწყისი 15 საათზე.

გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება გარდამავალი თასით, საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცემათ დიპლომები და პრიზები.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია წარმოგიდგენთ

ახალი ამბები ფიდედან

შეიძლება უცხო ქვეყნის მოქალაქე არ გახდე — ფედერაციის წევრობა კი დასაშვებია

ასეთი წესი აქვს ფიდეს, რომლითაც სარგებლობს ჩვენი მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ზურაბი ერთადერთი მოჭადრაკე ვაჟია საქართველოდან, რომელსაც მსოფლიოში მე-14 რეიტინგი აქვს, რაც ძალიან ამაღლებს მის ავტორიტეტს. „ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ ჩვენი მოჭადრაკე კარგა ხანია ბოსნია-ჰერცოგოვინაში ცხოვრობს, თუმცა უცხოეთის მოქალაქეობა არ მიუღია. უბრალოდ, ზურაბმა ფიდეს ზემოხსენებული წესით ისარგებლა და საქართველოს მოქალაქედ დარჩა. ოღონდ ბოსნია-ჰერცოგოვინას საჭადრაკო ფედერაციის წევრი კი გახდა. აზმაიფარაშვილს ამ ნაბიჯის გადადგმაც ეძნელებოდა, მაგრამ შვიდსულიანი ოჯახის რჩენის პრობლემამ მაინც თავისი გაიტანა.

— იმის მეათედიც რომ მომცენ, რასაც იქ მთავაზობენ, საქართველოდან არ წავიდოდი, — თქვა ერთხელ ზურაბმა თბილისელ მეგობრებთან საუბარში. მკითხველის ცნობისმოყვარეობა რომ სრულად დავაკმაყოფილოთ ვიტყვით: ზურაბ აზმაიფარაშვილს ბოსნია-ჰერცოგოვინას საჭადრაკო ფედერაცია თვეში 1500 აშშ-ს დოლარს უხდის.

ჩვენ რა, დავკარგეთ ასეთი დიდოსტატი? იკითხავთ ალბათ. ფიდეს წესებით და კონტრაქტის პირობებით, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის ინტერესები, ცხადია, არ არის უგულებელყოფილი. ერთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ უკვე ისე ჩაიარა, ჩვენთვის არაფერი ზიანი მოუტანია, საქართველოს საჭადრაკო სკოლის სახელი კი ამაღლდა. მაგალითად, ზურაბმა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ზონალურ ტურნირში გაიმარჯვა და საგზური ბოსნია-ჰერცოგოვინას მოუტანა. აქ, ჩვენს ზონალურ ტურნირში გია გიორგაძემ გაიმარჯვა. რაკი საგზურს მხოლოდ ერთი გამარჯვებული იღებს, მეორე ქართველი სხვა ქვეყნის სახელით ისპარეზებს, რა თქმა უნდა, აქ საგანგაშო არაფერია, პირიქით.

მაგრამ, როგორც ვთქვით, აზმაიფარაშვილი საქართველოს მოქალაქეა და სამართლიანი იყო ჩვენი ფედერაციის მოთხოვნა ფიდეს მიმართ — ნება დაერთო საჭადრაკო ოლიმპიადაში ზურაბს თავისი სამშობლოს სახელით ესპარეზა. ფიდეს ახალი ხელმძღვანელობა და საპრეზიდენტო საბჭო მაინცდამაინც ხალისით არ იხილავენ ასეთ საკითხებს, მაგრამ საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თხოვნა იმდენად დასაბუთებული იყო, რომ საპრეზიდენტო საბჭომ დააკმაყოფილა იგი და წლევანდელ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელიც ერევანში გაიმართება 15 სექტემბრიდან, ზურაბ აზმაიფარაშვილი საქართველოს სახელით ისპარეზებს. სხვათა შორის, როგორც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. შუბლაძემ გვითხრა, იმავე სხდომაზე ხუთი ანალოგიური საკითხი განუხილავთ და დადებითი პასუხი მხოლოდ ჩვენებს მიუღია.

... და კიდევ ნინო გურიელი?

ფიდე იმდენად გაიხლართა ვაჟ მოჭადრაკეთა ინტრიგების ქსელში, ლამისაა ქალთა ჭადრაკი, საერთოდ მიივიწყოს. მაგრამ საქართველოს საჭადრაკო ფედერაციამ ფიდე კვლავ „შემოაბრუნა" ქალთა ჭადრაკისკენ. როგორც ცნობილია, მომავალი ჩემპიონატისათვის ბრძოლაში 10-დან 4 პრეტენდენტი ქართველია — ჩიბურდანიძე, არახამია, იოსელიანი და კახიანი. XI-XII ადგილზე ერთნაირი ქულებით დარჩნენ მატვეევა (რუსეთი) და ჩვენი ნინო გურიელი. საქართველოს ფედერაციამ ფიდეს სთხოვა პრეტენდენტთა ტურნირს დაუმატონ კიდევ ორი ადგილი, რაც სპეციალისტთა ანალიზით, უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ასპარეზობას.

ფიდემ გადაწყვიტა ეს საკითხი განიხილოს თავის ასამბლეაზე, რომელიც ერევანში გაიმართება ამ შემოდგომაზე. პირადად ფიდეს პრეზიდენტი ილიუმჟინოვი წინაალმდეგი არ არის შეიტანონ კორექტივი დებულებაში, მით უფრო, რომ რუსეთის ვერც ერთი მოჭადრაკე ვერ მოხვდა პრეტენდენტთა სიაში და მატვეევას დაშვებით, ტურნირი ურუსეთოდ კი არა, რუსეთის მონაწილეობით ჩატარდება. ექსპერტები თვლიან, რომ თუ ილიუმჟინოვი საქართველოს ამ თხოვნას ბოლომდე გაიტანს, რუსეთის დიდ სიმპათიასაც დაიმსახურებს და ადრინდელი დაძაბულობა ფიდეს ახალ პრეზიდენტსა და რუსეთის საჭადრაკო ფედერაციას შორის შეიძლება საბოლოო დავიწყებასაც მიეცეს.

ვინ ალუდგება წინ კომპიუტერს!

კასპელი გელა გურასპაშვილი ჭადრაკში კომპიუტერული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტურ წინადადებას იძლევა, რამაც ფიდეს ყურადღებაც მიიპყრო. გელა გურასპაშვილი ამ დღეებში ელისტაში მიიწვიეს.

კარპოვ-კამსკის მატჩის პირველ დღეებში ელისტაში ლამის მსოფლიო საჭადრაკო ელიტამ მოიყარა თავი. მათ შორის იყო მანამდე ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა კასპიდან. ფაქტობრივად მან გამოიგონა უდებიუტო ჭადრაკი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტოქეები თავად აწყობენ ფიგურებს დაფის თავიანთ მონაკვეთზე. ამ სისტემით ადრე უკვე გაიმართა შეჯიბრება თბილისში, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მას მერე, რაც ზემძლავრმა კომპიუტერმა მსოფლიო ჩემპიონი გამოიწვია პაექრობაში, ჭადრაკს ალსასრული დაემუქრა. და აი, „ქართულ ვარიანტს" — უდებიუტო ჭადრაკს და მის ავტორს თურმე ძალუძთ წინ ალუდგნენ კომპიუტერულ სისტემას და თავგზა აუბნიონ მეცნიერულ მონსტრს.

ფიდეს ასამბლეა ამ საკითხსაც ერევანში განიხილავს.

რაც მსოფლიოში ვერავინ შეძლო, გულბათ ტორაძემ გააკეთა

ლაპარაკია უაღრესად საინტერესო საჭადრაკო წიგნზე „АВРО-ТУРНИР", რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გამოსცა „განათლებამ" და რომლის ავტორია პროფესორი გულბათ ტორაძე. ჯერ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „АВРО" — ეს გახლავთ ჰოლანდიის რადიოკომპანიის დასახელება, რომელმაც ხსენებული ტურნირი ჩაატარა 1938 წლის ნოემბერში. ღირსსახსოვარი კი ტურნირი იმით იყო, რომ მასში მონაწილეობდნენ იმჟამინდელი ექსტრა-კლასის მოჭადრაკეები, მათ შორის კაპაბლანკა, ალიოხინი, ეივე, ბოტვინიკი... ასეთი თავყრილობა საჭადრაკო ისტორიამ მანამდე არ იცოდა, ამიტომაც გამოიწვია ტურნირმა უდიდესი რეზონანსი. ვერც მაშინ და მით უმეტეს ომის წლებში, ვერც ომისშემდგომ პერიოდში ვერ მოხერხდა ამ ტურნირის პარტიების თავმოყრა და გამოქვეყნება. არადა, ამ პარტიებზე თაობები იზრდებოდა და იზრდება, ისინი თავის რეპერტუარში აქვს ყველა მსოფლიო ჩემპიონს თუ ამ ტიტულის მაძიებელს. აი, ასეთი წიგნი, ამ ისტორიული პარტიებით და სრული მოცულობით პირველად საქართველოში დაიბეჭდა.

ფიდემ და საჭადრაკო სამყარომ აღტაცებით მიიღო ქართველი ავტორის ეს წიგნი და გამოთქვა სურვილი, რომ იგი მსოფლიოს სხვა ენებზეც გამოიცეს.

ანატოლი კარპოვი

დაიბადა 1951 წლის 23 მაისს ურალში
1966 წლიდან ოსტატი, 1970-იდან დიდოსტატი
1970 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში
მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონი ვაჟებში (1975-1985).
1993 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონი ფიდე-ს ვერსიით
ჩაატარა 8 მატჩი მსოფლიოს პირველობაზე, მათგან სამი მოიგო (ორი – კორჩნოისთან, ერთი — ტიმანთან), სამი წააგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთიც შეწყდა (ყველა კარპოვთან).

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

კარპოვი — კამსკი

ანატოლი კარპოვსა და გატა კამსკის 1991 წლიდან მოყოლებული ერთმანეთში ნათამაშევი აქვთ 20 პარტია (12 სატურნირო, 8 სწრაფი და დაფაზე დაუხედავად). ორთავე მაჩვენებლით დაწინაურებულია კარპოვი. ტურნირებით ანგარიშია 7,5:4,5 (5 მოგება, 5 ფრე, ორი დამარცხება), სხვა შეხვედრებში — 5:3 (4 მოგება, 2 ფრე, 2 დამარცხება).

გატა კამსკი

დაიბადა 1974 წლის 2 ივნისს ციმბირში
1986 წლიდან ოსტატი, 1990-იდან დიდოსტატი
პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის პრეტენდენტთა მატჩის ფინალისტი (1995).
ფიდეს ვერსიით მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეჯიბრებაში გამარჯვებული (1993-95). მოგებული აქვს მატჩები: მეოთხედფინალური — ვან დერ სტერენთან (ნიდერლანდები), ნახევარფინალური — ვიშვანათან ანანდთან (ინდოეთი), ფინალი — ვალერი სალოვთან (რუსეთი)

პირველი დიდი მოულოდნელობა, რომელიც ამ მატჩში შეგვხვდა, ეს გახლავთ ადრე დაკანონებული დებულების შეცვლა. თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ მეტოქეებს ბოლომდე, შვიდსაათიანი კონტროლით უნდა ეთამაშათ, პარტიის გადაუდებლად. მაგრამ ახლა გამოირკვა, რომ მეტოქეებს ადრე მოულაპარაკიათ — 6 საათიანი ბრძოლის შემდეგ, თუკი ეს საჭირო იქნება, გადადონ პარტია და მეორე დღეს დაამთავრონ, როგორც ადრე ხდებოდა.

მართალია, მატჩის გახსნის წინ კამსკი შეეცადა, უარი ეთქვა იმ ადრინდელ მოლაპარაკებაზე, მაგრამ პრეზიდენტ ილიუმჟინოვის წინაალმდეგობას წააწყდა, რომელიც მას დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

როგორც ცნობილია, ადრინდელ მატჩებში კასპაროვი უჩიოდა „ინფორმაციის გაჟონვას". ამიტომ, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სპეციალურად შემოწმდა სასტუმრო, სადაც კამსკი ცხოვრობს, რათა იქ მოსასმენი აპარატები არ იყოს დადგმული. ასეთები ვერ აღმოაჩინეს.

რაც შეეხება წმინდა საჭადრაკო მხარეს, ამ მხრივ მატჩი მეტად საინტერესოდ დაიწყო. კარპოვი თეთრებით თამაშობს თავისი ჩვეული მანერით: დინჯად, აუღელვებლად, მეთოდურად. იგი პარტიებს, ისევე როგორც ადრე, ლაზიერის წინა პაიკით იწყებს. პირველ პარტიაში შავებით კამსკიმ გრიუნფელდის დაცვას მიმართა, მეორეში ახალინდური დაცვა გათამაშდა. თუ პირველში ჩემპიონმა სასურველი პოზიცია მიიღო და შემდეგში თანმიმდევრული მოქმედებით გაიმარჯვა კიდეც, მეორეში კამსკიმ შეძლო პრობლემების გადაჭრა. მაშინ, როცა კამსკი თეთრებით თამაშობს, იგი ცდილობს ბრძოლას ღია ხასიათი მისცეს. ამასთან, როგორც ჩანს, თეორიული თვალსაზრისით ძალიან კარგად არის მომზადებული, ეს კი განსაკუთრებით თეთრი ფიგურებით თამაშისას ითქმის. ცოტა გასაოცარიც კი იყო, როცა მეორე პარტიაში კარპოვს, რომელმაც თავისი საყვარელი კარო-კანის დაცვა აირჩია, მე-17 სვლაზე სერიოზული შეცდომა მოუვიდა, რის შემდეგ იძულებული გახდა ლაზიერი დაეთმო ეტლსა და მსუბუქ ფიგურაში, რამაც საბოლოოდ განაპირობა მისი დამარცხება. რა თქმა უნდა, ეს კარპოვისათვის უსიამოვნო მარცხი იყო, მაგრამ მან ხელი არ აიღო კარო-კანის დაცვაზე, რომელიც მეოთხე პარტიაშიც გამოიყენა.

მეოთხე პარტიაში ჩემპიონმა არა მარტო გადაჭრა სადებიუტო პრობლემები, არამედ თანდათან უკეთესი პოზიციაც კი მიიღო. ეს პარტია კარპოვის გამარჯვებით დამთავრდა. ანგარიში გახდა 2,5:1,5 ჩემპიონის სასარგებლოდ.

ელისტა — საჭადრაკო მექა

ლიდერობს ლაშა ჯანჯღავა

გრძელდება საქართველოს პირველობა ჭადრაკში 10 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით, რომლებიც ერთმანეთს ოლიმპიურ ნაკრებში ორ ადგილსაც ეცილებიან.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერობს ლაშა ჯანჯღავა – 5,5 ქულა და 2 ტურით ადრე მან თითქმის გაინაღდა ერთი საგზური. მეორე საგზურისთვის დავა წარიმართება ხვიჩა სუპატაშვილსა და დათო ლობჟანიძეს შორის, რომლებსაც 5-5 ქულა აქვთ. სამ მონაწილეს გიგა ყაჭეიშვილს, ალექსანდრე დგებუაძეს და რომან ხიჭინავას 3,5-3,5 ქულა აქვთ მოპოვებული. ოლიმპიურ ნაკრებში I და II ადგილზე გასულები შეავსებენ დარჩენილ 2 ადგილს. შეგახსენებთ, რომ ნაკრების დანარჩენი წევრები არიან დიდოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა და გენადი ზაიჩიკი.

საჭადრაკო სალაღობო • საჭადრაკო სალაღობო • საჭადრაკო სალაღობო

პროფესია და ჰობი

ამერიკის ქალაქ სიეტლში ერთ დილით ბანკში ნახეს მძინარე მძარცველი. თურმე ყაჩაღის ყურადღება მიიპყრო ბანკში ვილაცის მიერ დატოვებულმა გაზეთმა, რომელშიაც ოთხსვლიანი საჭადრაკო ამოცანა იყო დაბეჭდილი.

გაირკვა, რომ „სტუმარს" თურმე მას შემდეგ ჩაეძინა, რაც რამდენიმე საათი იმტვრია თავი ამოცანის ამოხსნაზე.

— რას იზამ, უხეირო ჰობმა დამღუპა, — თქვა სასამართლოში განაჩენის გამოტანის შემდეგ მძარცველმა.

— რას ამბობთ, შეედავა მოსამართლე, — თქვენ შესანიშნავი ჰობი გაქვთ, აი პროფესია კი მართლაც უხეირო შეგირჩევიათ.

მეფე ცხენზე

შუასაუკუნოვან ისლანდიაში ჭადრაკის თამაშისას მეფეს უფლება ჰქონდა ერთხელ გაეკეთებინა... ცხენისებური სვლა. მაშინ თურმე ამის თაობაზე ამბობდნენ: „მეფე ერთხელ მაინც უნდა ჩაჯდეს უნაგირში, რომ სრულიად შეიგრძნოს ცხენის დაფარული შესაძლებლობები".

გვარი და სულგრძელობა

მალაიზიის საჭადრაკო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა, იმ იმედით, რომ ერთ-ერთი მონაწილე მონიკავაზაგამზეგატჰეზანუ სულგრძელობას გამოიჩენდა, მიმართა მას თხოვნით შეიცვალოს გვარი.

კონვერტი — ნოტარიუსთან!

შუასაუკუნეების გერმანიის ქალაქებში სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები, რომლებიც თავს იყრიდნენ ბაზრობაზე, ატარებდნენ საჭადრაკო შეჯიბრებებს სოლიდურ თანხაზე. თუ პარტია დაუმთავრებელი რჩებოდა საქმეში ერეოდა ნოტარიუსი, რომელიც ჩაიწერდა პოზიციას, ჩადებდა კონვერტში და დალუქავდა... მომავალ ბაზრობამდე.

აღმოჩენაც ასეთი უნდა

ცელულოიდი 1968 წელს გამოიგონა ამერიკელმა ჯონ ხაიეტმა. ეს იყო ჭადრაკის ფიგურების მწარმოებელი ფაბრიკის მეპატრონე და საამისოდ მსუბუქი და გამძლე მასალის ძიებამ იგი ცელულოიდის აღმოჩენამდე მიიყვანა.

ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ● „C" ᲯᲒᲣᲤᲘ

UEFA
EURO 96
England

4. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

● ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ 1912 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.

● ᲤᲘᲤᲐᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ 1912 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ.

● ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲤᲝᲠᲛᲐ: ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲔᲑᲘ — ᲬᲘᲗᲔᲚᲘ, ᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘ — ᲚᲣᲠᲯᲘ, ᲒᲔᲢᲠᲔᲑᲘ — ᲗᲔᲗᲠᲘ.

● ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ 1912 ᲬᲔᲚᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲨᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲗᲐᲜ 1-2.

● ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ.

1996 წლის შესარჩევ ციკლში: სანმარინოსთან — 4-0 (კარპინი, კოლივანოვი, ნიკიფოროვი, რადჩენკო), 7-0 (დობროვოლსკი, კულკოვი, კირიაკოვი, შალიმოვი, ბესჩასტნიხი, კოლივანოვი, ჩერიშევი). შოტლანდიასთან — 1-1 (რადჩენკო), 0-0. საბერძნეთთან — 3-0 (ნიკიფოროვი, ბესჩასტნიხი, ავტ. გოლი), 2-1 (ონოპკო, ავტ. გოლი), ფარერებთან — 3-0 (კეჩინოვი, პისარევი, მუხამადიევი), 5-2 (მოსტოვოი, კირიაკოვი, კოლივანოვი, ციმბალარი, შალიმოვი), ფინეთთან — 6-0 (კულკოვი — 2, კარპინი, რადჩენკო, კოლივანოვი — 2), 3-1 (რადჩენკო, კულკოვი, კირიაკოვი). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

შესარჩევ ტურნირში ჩაატარა 10 მატჩი: მოიგო — 8, ფრედ დაასრულა 2, ბურთების შეფარდება — 34-5.

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა გუნდის განაცხადში 22 ფეხბურთელს შორის დაასახელა შემდეგი მოთამაშეები:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ: დიმიტრი ხარინი — 1968 წ. 16 აგვისტო. „ჩელსი" ინგლისი. 34. სტანისლავ ჩერჩესოვი — 1963 წ. 3 სექტემბერი. „ტიროლი" ავსტრია. 36. სერგეი ოვჩინიკოვი — 1970 წ. 11 ოქტომბერი. „ლოკომოტივი" მოსკოვი.

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ: იური ნიკიფოროვი — 1970 წ. 16 სექტემბერი. „სპარტაკი" მოსკოვი 29 (3), ვიქტორ ონოპკო — 1969 წ. 19 ოქტომბერი. „ოვიედო" ესპანეთი. 42 (2). იური კოვტუნი — 1970 წ. 5 იანვარი. „დინამო" მოსკოვი. 15. ომარ თეთრაძე — 1969 წ. 13 ოქტომბერი. „ალანია" ვლადიკავკაზი. 20. ევგენი ბუშმანოვი — 1971 წ. 2 ნოემბერი. ცსკა მოსკოვი. 3. სერგეი გორლუკოვიჩი — 1962 წ. „სპარტაკი" მოსკოვი. 37 (1).

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ: ანდრეი კანჩელსკისი — 1969 წ. 23 იანვარი. „ევერტონი" ინგლისი, 43 (7). ვალერი კარპინი — 1969 წ. 2 თებერვალი. „რეალ სოსიედადი" ესპანეთი 29 (8). ალექსანდრ მოსტოვოი — 1968 წ. 22 აგვისტო. „სტრასბური" საფრანგეთი, 32 (8). ილია ციმბალარი — 1969 წ. 17 ივნისი. „სპარტაკი" მოსკოვი 15 (2). ვლადისლავ რადიმოვი — 1975 წ. 26 ნოემბერი. ცსკა მოსკოვი. 8. იგორ შალიმოვი — 1969 წ. 2 თებერვალი. „უდინეზე" იტალია. 33 (3). იგორ ივანოვსკი — 1974 წ. 3 აგვისტო. „ალანია". 1. დიმიტრი ხოხლოვი — 1975 წ. ცსკა მოსკოვი. 0. იგორ დობროვოლსკი — 1967 წ. კლუბში არ ირიცხება. 44 (10).

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ: იგორ კოლივანოვი — 1970 წ. 6 ივლისი. „ფოჯა" იტალია 41 (11). სერგეი კირიაკოვი — 1970 წ. 1 იანვარი. „კარლსრუე" გერმანია. 34 (14). ვლადიმერ ბესჩასტნიხი — 1974 წ. 1 აპრილი. „ვერდერი" გერმანია. 18 (4). იგორ სიმუტენკოვი — 1973 წ. 4 მარტი. „რეჯანა" იტალია. 6 (4).

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ.

ᲝᲜᲝᲞᲙᲝ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ნაკრებს გაცილებით უკეთესი შედეგები აქვს ევროპის პირველობებზე, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატებში. თუ მსოფლიო პირველობებზე მისი მაქსიმალური წარმატება 1966 წელს ინგლისში ნიკოლაი მოროზოვის ხელმძღვანელობით IV ადგილი იყო, ევროპის პირველობაზე მან ერთხელ გაიმარჯვა — 1960 წელს პარიზში გავრილ კალიჩინის ხელმძღვანელობით და ორჯერ — მეორე ადგილი დაიკავა. ამასთან, კონტინენტის პირველობებზე რუსეთის ნაკრებს მაინც ცუდი მოგონება დაჰყვა — 1992 წელს შვეციაში მან მძიმე ბრძოლაში საპატიო ფრეს მიაღწია გერმანელებთან და პოლანდიელებთან, მაგრამ მაშინ, როდესაც გზა მეოთხედფინალისაკენ თითქოს გახსნილი იყო, მძიმე მარცხი — 0:3 იგემეს შოტლანდიელებისაგან და გამოეთხოვნენ შეჯიბრებას. ამას ანატოლი ბიშოვეცის გადადგომა მოჰყვა.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში რუსეთის ნაკრები (მწვრთნელი პაველ სადირინი) ასევე ძალიან უფერულად გამოიყურებოდა, რაც ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის არნახული განხეთქილებით აიხსნა. ამის შედეგად რამდენიმე ფეხბურთელმა ნაკრებში თამაშზე უარიც კი განაცხადა.

ᲙᲐᲜᲩᲔᲚᲡᲙᲘ

ახალმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა, რომელმაც შეგნებულად აიღო ხელი ერთდროულად მოსკოვის „სპარტაკის" ხელმძღვანელობაზე, გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ახლა არავინ დავობს, რომ გუნდი უკეთ გამოიყურება ვიდრე ოთხი ან ორი წლის წინათ. პირველი შედეგიც სახეზეა — ნაკრებმა დიდი დაძაბვის გარეშე მოიპოვა ინგლისის საგზურები, თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, წინ არის.

მიმომხილველების აზრით. რუსეთის ნაკრები. რომლის მეტოქეები წინასწარ ჯგუფში არიან იტალიის. გერმანიისა და ჩეხეთის გუნდები. მეოთხედფინალში თამაშის უფლებას ვერ მოიპოვებს. რუსეთის ნაკრების მწვრთნელები, რომანცევს კი ეხმარებიან ალექსანდრ ტარხანოვი (ცსკა) და ოლეგ იგნატიევი (ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი). ცხადია. ამ აზრს არ იზიარებენ.

— ჩვენ სულაც არ გვათამამებს ის მესამე ადგილი. რომელიც ფუნქციონერებმა მოგვაკუთვნეს (ევროპის პირველობებზე საერთო შედეგების მიხედვით). სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, უძლიერესთა შორის რომ მოგიხსენიებენ, მაგრამ ინგლისში რეიტინგი რას გიშველის. იქ ბრძოლაა საჭირო, ვნახოთ... — განაცხადა რომანცევმა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

● ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ფეირ პლეის" პრიზი გადაეცემა გუნდს, რომელიც გამოიჩენს განსაკუთრებულ ჯენტლმენობას. კანდიდატს შეარჩევენ ფინალის მონაწილე თექვსმეტივე გუნდის მწვრთნელები და მოთამაშეები.

● ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ კარგი სტარტით წახალისებულმა ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა იბრძოლოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობის უფლებისათვის.

● ᲞᲔᲚᲔᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ტერი ვეინებლსი პირველ მატჩში გაუმართლებელ სიფრთხილეს იჩენდა. ფეხბურთის მეფემ მოუწოდა ჩემპიონატის მასპინძლებს ყოველ მატჩში მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძოლონ.

● ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡᲐ და ინგლისის ნაკრების მატჩს, რომელიც მუდამ გამოირჩევა გულშემატკივრების „სიგიჟით", შეშფოთებით ელოდება ბრიტანეთის პოლიცია. მით უმეტეს რომ, როგორც იუწყებიან, შეხვედრას დაესწრება შოტლანდიელ გულშემატკივართა თავკაცი ენდი ბლანკი გამძვინვარებულთა 500-კაციანი რაზმით.

● ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ მანიაკმა ავტომატის რიგით დაცხრილა შოტლანდიელ მოსწავლეთა ჯგუფი, რომელიც ჩემპიონატის მატჩების საყურებლად იყო ჩამოსული ინგლისში და მერე თვითონვე მოიკლა თავი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია 5 წლის ბიჭუნა კოლ ოსტინი, რომელიც გახსნის ცერემონიალზე წინ მიუძღოდა დროშით თავის გუნდს.

„ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ" ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ასეთი რამ, დაგვერწმუნეთ, მართლაც იშვიათად ხდება ფეხბურთში: თბილისის „დინამო" 1953 წლის სეზონში ბუქარესტში ადგილობრივ არმიელთა გუნდს ხვდებოდა. 0:1 ვაგებდით. თამაშის დამთავრებას ნახევარი საათი აკლდა, როდესაც რუმინელთა კართან შეიქმნა სახიფათო მომენტი. ავთანდილ ჭკუასელის უძლიერესად დარტყმული ბურთი კარის ძელს მოხვდა და უკანვე დაბრუნდა. მას მიუსწრო თბილისელთა მარჯვენა შუამარბმა კონსტანტინე გაგნიძემ და ზუსტად დაარტყა კარში. თითქოს გოლი უნდა გასულიყო, მაგრამ მეკარე ტომამ უკანასკნელ მომენტში თავგანწირული ნახტომით კუთხეში ზედ კარის ხაზთან მოიგერია ბურთი, იგი ისევ გაგნიძეს ჩაუვარდა ფეხებში, კვლავ სწრაფი დარტყმა მეორე კუთხეში და... მეკარემ ისევ მოიგერია ბურთი... გაგნიძის ფეხზე. ტომა ახლა ძირს გაშხლართული იყო და მასპინძლები საპასუხო გოლის გატანას უკვე ველარ გადაურჩებიან. მაგრამ მოხდა სასწაული: ტომა რაღაც გაუგებარი ნახტომით, განმაცვიფრებელი სისწრაფით შეწვდა ბურთს და მუშტით პირით ხაზს იქეთ გაგზავნა იგი. მთელი სტადიონი ფეხზე წამოდგა — მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს სტუმართა თავდამსხმელიც და მასპინძელთა მეკარეც.

ეს ეპიზოდი ჩვენს სასიქადულო ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გიორგი ანთაძეს დაწვრილებით აქვს აღწერილი თავის წიგნში „ფეხბურთელის მოგონებანი". მერე იგი ხუმრობდა ხოლმე: თურმე ერთმა რუმინელმა ჟურნალისტმა იკითხა, ის რა გვარი იყოო, პირველად რომ დაარტყა ჩვენს კარშიო? გაგნიძე! აი მეორედ რომ დაარტყა?.. გაგნიძე! მესამედ?.. გაგნიძე! სამი ძმანი არიან, ხომ?.. — იკითხა გაკვირვებულმა მასპინძელმა.

ხუმრობა იქეთ იყოს, და კონსტანტინე გაგნიძემ მართლაც განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა ის მატჩიც და მთელი ტურნე რუმინეთში, რამდენიმე ბურთიც გაიტანა და ბევრი ხელსაყრელი მომენტი შეუქმნა თავის პარტნიორებს თავდასხმის ხაზში. მიხეილ ჯოჯუას, ანდრო ზაზროევს, ავთანდილ ღოღობერიძეს, ავთანდილ ჭკუასელს, იური ვარდიმიადის, ზაურ კალოევს, ნიკოლოზ თოდრიას.

— დღესაც დეტალებში მახსოვს ის დარტყმები — გვეუბნება კ. გაგნიძე — ტომა, რა თქმა უნდა, დიდებული მეკარე იყო, საუცხოო რეაქცია ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთშიც ხომ არსებობს ბედი და იგი იმ დღეს აშკარად რუმინელის მხარეზე იყო.

სხვათა შორის, დაახლოებით ასეთივე სიტუაცია შეიქმნა იმავე წელს, რიგაში, „დაუგავასთან" შეხვედრაში. ჩვენს ფეხბურთელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბურთი არა და არ გადიოდა კარში. კარლო გაგნიძეს, ალბათ, რვა-ათი გოლი მაინც უნდა გაეტანა, მაგრამ 4-5 მეტრიდან დარტყმული ბურთები ან კარს ცდებოდა სასწაულად ან მასპინძელთა მეკარე იგერიებდა. თავის მხრივ, ვერც რიგელებმა, რომლებსაც ძლიერი ცენტრფორვარდი ალფონს ეგერსი ედგათ სათავეში, ვერ აილეს ჩვენი კარი და მატჩი ფრედ დამთავრდა. ასე დაიკარგა მეტად საჭირო ქულა, რომელსაც ჩვენთვის ჩემპიონობის მოტანა შეეძლო. შეგახსენებთ, რომ იმ დღეებში „წაგვართვეს" უფროსი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი და გუნდი საასპარეზოდ „ახალბედა მწვრთნელმა" ბორის პაიჭაძემ მოამზადა.

ალბათ, ბევრმა გულშემატკივარმა არ იცის, რომ ძმები გაგნიძეების საფეხბურთო გზა... მოსკოვიდან დაიწყო. მათი ოჯახი იქ საცხოვრებლად გადავიდა 1930 წელს, როდესაც კარლო 4 წლისა იყო. ბაბუამისი (დედის მხრივ) გერასიმე მაჩაიძე არბატზე მუშაობდა შეფ-კულინარად, მამა — სასადილოში ლენინგრადის პროსპექტზე. გაგნიძეები გორკის ქუჩასთან, მაიაკოვსკისა და პუშკინის მოედნების შორიახლო ცხოვრობდნენ, დღეს რომ უზარმაზარი სასტუმრო „მინსკია" წამოჭიმული. კარლო 25-ე სკოლაში მიაბარეს, სადაც მთელი „ელიტა" სწავლობდა — სვეტლანა სტალინა, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, მიქოიანის, ერთი სიტყვით, მთელი პოლიტბიუროს ნერგების შთამომავალნი. სულ ერთი წელიწადი იარა აქ კარლომ — სკოლა დახურეს რატომღაც. მერე სხვა სკოლაში გადავიდა პეტროვკაზე („პასაჟთან"), იქედან კი მათი სახლის გვერდით აშენებულ 5 სართულიან სკოლაში განაგრძო სწავლა.

სკოლას საკმაოდ დიდი ეზო ჰქონდა და ბიჭები (ცხადია, ძმები გაგნიძეებიც) სულ ერთთავად ბურთს დასდევდნენ. ყველას ჯაბნიდნენ სირბილსა და გოლის გატანაში, ეს იყო მხოლოდ, რომ სკოლის დარაჯი უშლიდა მათ სასტიკად ბურთაობას, რადგანაც ნორჩების გაუთავებელ მატჩებს ხშირად ფანჯრების ჩალეწვა მოჰყვებოდა.

მოსკოვის „სპარტაკის" თავგამოდებული გულშემატკივრები იყვნენ თავიდან, რაზეც მამა ძალიან უბრაზდებოდა: „ქართველები ხართ და თბილისის „დინამო" უნდა გიყვარდეთო პირველ რიგში!". არადა, ჩვენი გუნდი ძმებ გაგნიძეებს სულ ორჯერ ჰყავდათ ნანახი, „სპარტაკი" კი თითქმის ყოველ კვირას თამაშობდა მოსკოვში. ასე განსაჯეთ კარლო „სპარტაკის" იმ ისტორიულ მატჩსაც კი დაესწრო ბასკებთან, ასე უმოწყალოდ რომ იმსაჯა არბიტრმა ი. კოსმაჩოვმა.

— განსაკუთრებით მომწონდა სტუმართაგან ლანგარა და რეგეირო, სპარტაკელთაგან ყველას სჯობდნენ ვიქტორ სტეპანოვი, გიორგი გლაზკოვი და ანდრეი სტაროსტინი. მე მათი გულშემატკივარი გავხდი, მერე, როდესაც მოსკოვის დინამოელების თამაშიც ვნახე, ახლა მიხაილ იაკუშინს, სერგეი ილინს, სერგეი სოლოვიოვს დავუთმე გული. ბოლოს კი ბორის პაიჭაძემ, გაიოზ ჯეჯელავამ და ალექსეი დოროხოვმა ხომ მთლად გადამრიეს — განაგრძობს კონსტანტინე გაგნიძე — მათ სანახავად სტადიონის ღობეზე ვძვრებოდი ხოლმე უბილეთოდ. ერთხელ დამიჭირეს კიდეც და დასჯის მიზნით სავსე ნახშირიანი ტომრები მაზიდინეს.

ერთ მშვენიერ დღეს — 1941 წლის 18 ივნისს — კარლო გაგნიძე მოსკოვის სკოლების პირველობაზე წაიყვანეს ეგრეთ წოდებულ „ნორჩ პიონერთა სტადიონზე".

— ნამდვილი ფორმა — წითელი მაისურები, ლურჯი ტრუსები და ბუცები მოგვცეს და... საასპარეზოდ გვიხმეს მეზობელი სკოლების გუნდთან. ძალიან ვღელავდი, ეს ხომ ჩემი პირველი ოფიციალური მატჩი იყო, თანაც „ნამდვილ" სტადიონზე. თანდათან დავმშვიდდი, ბურთს გავუგე „ენა" და წარმოიდგინეთ, გოლიც გავიტანე: მარჯვენა ფლანგიდან სწრაფად გავიჭერი კარისკენ, მოვატყუე ორი მცველი და ბურთი გავგზავნე მარცხენა დაბალ კუთხეში. ანგარიშით 1:0 გავიმარჯვეთ. მწვრთნელებმა შემიქეს თამაში ახალბედა მარჯვენა გარემარბს, თანაც გაიხუმრეს, „ამისგან თუ ფეხბურთელი გამოვიდა, ცხადია, თბილისის „დინამოში" გაიქცევა! ასე აგიხდეთ ყველაფერი...

ბიჭები არდადეგებზე თავიანთ მშობლიურ სოფელში ჭიბრევში ჩაყავდათ ხოლმე ბებიასთან. აი, ახლაც მატარებლით მოეშურებოდნენ რაჭისაკენ. ბაქოში რომ ჩავიდნენ, სადგურში ვილაცეებმა ყვირილი მორთეს: ომი დაიწყოო! დიახ, 1941 წლის 22 ივნისი იდგა. არადა, ძმებს მოსკოვიდან სოფელში ახალი ყავისფერი ბურთი მოჰქონდათ, ფიქრობდნენ, ჭიბრევში თანატოლთაგან გუნდს შეკრებავდნენ და მეზობელ სოფლელებს შეეჯიბრებოდნენ.

— პატარები ვიყავით, კარგად არც კი გვესმოდა, რა იყო ომი და სულ ბურთზე ვფიქრობდით, სოფელში სტადიონიც მოვაწყვეთ, შტანგებიც დავდგით, მაგრამ ეკლიანი ღობე ხშირ-ხშირად გვიხეთქავდა ხოლმე ბურთს. ახლო-მახლო სოფლელები ადვილად დავამარცხეთ. იმ ომიან წელს სოფელში მართლაც ბევრი ქალაქელი ბავშვი ჩამოიყვანეს. ფეხბურთი ყველას უყვარდა. ცხადია, კოლიაც თამაშობდა, მას ადგილი ნახევარდაცვაში მივუჩინეთ, რადგანაც კარგად, დაუღალავად დარბოდა და აკი დიდობისას ბოლომდე შუა ხაზში თამაშობდა.

მომდევნო, 1942 წელს, კარლო გაგნიძე თბილისში ჩამოვიდა რკინიგზის ტექნიკუმში სასწავლებლად. ბინად ბიძამისთან ცხოვრობდა, ფეხბურთზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა ტექნიკუმში ფეხბურთის გუნდი. ფიზკულტურის მასწავლებელმა ლევან სტვილიამ კ. გაგნიძე გუნდში არ

ᲘᲮ. ᲛᲔ-6 ᲒᲕ.

წარმოგიდგენთ ფინალისტებს ● „D" ჯგუფი

UEFA EURO 96 England

1. დანია

● ქვეყნის ფეხბურთის კავშირი შეიქმნა 1889 წელს.

● ფიფას წევრი. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია 1904 წლიდან.

● სათამაშო ფორმა: მაისურები — წითელი, ტრუსები — თეთრი, გეტრები — თეთრ-წითელი.

● პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშა ლონდონში 1908 წელს ოლიმპიურ თამაშებში საფრანგეთის ნაკრებთან — 9-0.

● კონტინენტის პირველობაში მონაწილეობს 1964 წლიდან.

1964 წელი. 1/16 ფინალი: მალტასთან — 6-1, 3-1.

1/8 ფინალი: ალბანეთთან — 4-0, 0-1.

1/4 ფინალი: ლუქსემბურგთან — 3-3, 2-2. დამატებითი მატჩი — 1-0.

1/2 ფინალი: სსრკ-სთან — 0-2.

მესამე ადგილისათვის: უნგრეთთან — 1-3.

1968 წ. შესარჩევი ციკლი: გდრ-თან — 1-1, 2-3. ჰოლანდიასთან — 3-2, 0-2. უნგრეთთან — 0-2, 0-6. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1972 წ. შ. ც.: პორტუგალიასთან — 0-1, 0-5. შოტლანდიასთან — 1-0, 0-1. ბელგიასთან — 0-2, 1-2. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1976 წ. შ. ც.: ესპანეთთან — 1-2, 0-2. რუმინეთთან — 0-0, 1-6. შოტლანდიასთან — 0-1, 1-3, ქვეჯგუფში მეოთხე ადგილი.

1980 წ. შ. ც.: ირლანდიასთან — 3-3, 9-2. ინგლისთან — 3-4, 0-1. ბულგარეთთან — 2-2, 0-3. ჩრდ. ირლანდიასთან — 2-1, 0-4. ქვეჯგუფში — მეხუთე ადგილი.

1984 წ. შ.ც.: ინგლისთან — 2-2, 1-0. ლუქსემბურგთან — 2-1, 6-0. საბერძნეთთან — 1-0, 2-0. უნგრეთთან — 3-1, 0-1.

ფინალური ციკლი: საფრანგეთთან — 0-1, ბელგიასთან — 3-2, იუგოსლავიასთან — 5-0.

1/2 ფინალი: ესპანეთთან — 1-1, პენალტებით — 4-5.

1988 წ. შ.ც.: ჩეხოსლოვაკიასთან — 1-1, 0-0. უელსთან — 0-1, 1-0. ფინეთთან — 1-0, 1-0. ფ.ც.: ესპანეთთან — 2-3, გფრ-თან — 0-2, იტალიასთან — 0-2. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1992 წ. შ. ც. იუგოსლავიასთან — 0-2, 2-1. ჩრ. ირლანდიასთან — 1-1, 2-1. ავსტრიასთან — 2-1, 3-0. ფარერებთან — 4-1, 4-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი. გაეროს მიერ იუგოსლავიის მიმართ გამოყენებული სანქციის გამო დანია იქნა დაშვებული ფინალურ ციკლში იუგოსლავიის ნაცვლად ინგლისთან — 0-0, შვედეთთან — 0-1, საფრანგეთთან — 2-1.

1/2 ფინალი: ჰოლანდიასთან — 2-2, პენალტებით — 5-4.

ფინალი: გერმანიასთან — 2-0 (იენსენი, ვილფორტი); — შმეიხელი, სივებაკი (კრისტენსენი, 67), კ. ნილსენი, ოლსენი, პირნიკი, კრისტივეტე, იენსენი, ლარსენი, ვილფორტი, ბ. ლაუდრუპი, პოულსენი.

Brian Laudrup

ბრაიან ლაუდრუპი

1996 წ. შ. ც.: მაკედონიასთან — 1-1 (პოულსენი), 1-0 (პ. ნილსენი), ბელგიასთან — 3-1 (ვილფორტი, ი. იენსენი, სტრუდალი); 3-1 (მ. ლაუდრუპი, ბეკი, ვილფორტი), ესპანეთთან 0-3, 1-1 (ვილფორტი), კვიპროსთან — 1-1 (შენბერგი), 4-0 (ვილფორტი — 2, ბ. ლაუდრუპი, მ. ლაუდრუპი). სომხეთი — 2-0 (მ. ლაუდრუპი, ა. ნილსენი). 3-1 (მენბერგი, ბეკი, მ. ლაუდრუპი). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

სულ შესარჩევ და ფინალურ ტურნირში ჩაატარა 79 მატჩი: მოიგო — 32, ფრედ დაასრულა 16, წააგო 31 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 116-113.

დანიელთა მწვრთნელის რიჩარდ მელერ ნილსენის განკარგულებაში 22 ფეხბურთელია:

მეკარეები: პეტერ შმეიხელი — 1963 წ. 18 ნოემბერი. „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისი. 83. ლარს ჰეგი — 1959 წ. 14 იანვარი. „ოდენსე" 8. მოგენს კროგი — 1963 წ. 31 ოქტომბერი. „ბრონდბიუ" — 5.

მცველები: თომას ჰელვეგი — 1971 წ. 24 იანვარი. „უდინეზე" იტალია. 12. მარკ რიპერი — 1968 წ. 5 ივნისი. „ვესტ ჰემი" ინგლისი 37. ლარს ოლსენი — 1961 წ. 2 თებერვალი. „ბრონდბიუ". 84. იეს ჰეგი — 1966 წ. 7 მაისი. „ფენერბახჩე" თურქეთი. 21. ტორბენ პეხნიკი — 1963 წ. 21 მაისი. „ორჰუსი" 13. იენს რისაგერი — 1971 წ. 9 აპრილი. „ბრონდბიუ" 11. იაკობ ლაურსენი — 1971 წ. 6 ოქტომბერი. „სილკებორგი". 11.

ნახევარმცველები: მიქაელ შენბერგი — 1967 წ. 19 იანვარი. „ოდენსე". 12. ბრაიან სტენ- -ნილსენი — 1968 წ. 28 დეკემბერი. „ოდენსე" 34. კლაუს ტომსენი — 1970 წ. 31 მაისი. „იფსვიჩ თაუნი". ინგლისი. 5. მიქაელ ლაუდრუპი — 1964 წ. 15 ივნისი. „რეალი" მადრიდი ესპანეთი. 87. ჰენრიკ ლარსენი — 1966 წ. 17 მაისი. „ლუნგბიუ". 36. ალან ნილსენი — 1971 წ. 13 მარტი. „ბრონდბიუ" 3. კიმ ვილფორტი — 1962 წ. 15 ნოემბერი. „ბრონდბიუ". 74. სტიგ ტეფტინგი — 1969 წ. 14 აგვისტო. „ორჰუსი" 2.

თავდამსხმელები: მიკელ ბეკი — 1973 წ. 12 მაისი. „ფორტუნა" კიოლნი გერმანია 8. ბრაიან ლაუდრუპი — 1969 წ. 22 თებერვალი. „რეინჯერსი" შოტლანდია. 62. ერიკ-ბუ ანდერსენი — 1970 წ. 14 ნოემბერი. „რეინჯერსი" შოტლანდია. 5. სიორენ ანდერსენი — 1970 წ. 31 იანვარი. „ოლბორგი". 1.

დანიის ეროვნული ნაკრები.

რა თქმა უნდა, ბედის ღიმება სპორტის ერთ-ერთი კომპონენტი გახლავთ. თუ ფეხბურთში ეს ვინმეზე ითქმის, ეტყობა, პირველ რიგში — დანიელებზე. 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში დანიელები ვერ მოხვდნენ. მართალია, წინასწარ ტურნირში კარგი შედეგით გამოვიდნენ (13 ქულა 16-დან), მაგრამ მაინც ერთი ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულ იუგოსლაველებს. რაც შემდეგ მოხდა, დანიელებისათვის ნამდვილად ბედის ღიმებად უნდა ჩაითვალოს. დაიშალა იუგოსლავია. ამის გამო ამ ქვეყნის ნაკრები, რომელიც დიდი ამბით ემზადებოდა შვეციაში გასამგზავრებლად, და, ასე გასინჯეთ, ერთ-ერთი პირობით ფავორიტადაც კი ითვლებოდა, ფინალში არ დაუშვეს და... დანიელებით შეცვალეს.

დანიელთა მწვრთნელ რიჰარდ მელერ-ნილსენის სიტყვით, გუნდი ევროპის პირველობისათვის არ ემზადებოდა და... არც მის წინააღმდეგ ემზადებოდნენ. და აი, ასეთ პირობებში დანიელებმა, რომლებიც რაიმე ფსიქოლოგიური დატვირთვისგან სრულიად თავისუფალნი იყვნენ და ლაღად, ენერგიულად თამაშობდნენ, დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ისინი გავიდნენ ფინალში, სადაც მსოფლიო ჩემპიონებს — გერმანელებს შეხვდნენ. აქ კი მათ გარდაუვალ მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ არც ეს მოლოდინი გამართლდა. 1992 წლის 26 ივნისს გიოტებორგის „ულევის" სტადიონზე 37800 გულშემატკივრის დასწრებით დანიელებმა სძლიეს მსოფლიო ჩემპიონებს — 2-0 და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე უდიდეს წარმატებას მიაღწიეს — ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ჩემპიონებისაგან განსხვავებით ევროპის ჩემპიონებს პირდაპირ ფინალში გამოსვლის პრივილეგია არა აქვთ — მათ თამაში წინასწარი შეჯიბრებით უნდა დაიწყონ. ინგლისში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატისათვის რიჰარდ მელერ-ნილსენმა მართლაც რომ ჩინებულად მოამზადა გუნდი. შვეციაში გამარჯვებულ შემადგენლობას დაემატა ქვეყნის უძლიერესი ფეხბურთელი მიქაელ ლაუდრუპი, რომელიც ადრე მწვრთნელთან შემომწყრალი იყო. აი მაშინ მიქაელის უმცროსი ძმის, ბრაიან ლაუდრუპის შემორიგება კი მოხერხდა, უფროსისა კი არა. მიქაელმა, რომელიც ტურინის „იუვენტუსში" თამაშობდა, შემდეგ კი „ბარსელონასა" და მადრიდის „რეალში", ხელი აიღო ადრინდელ პრეტენზიებზე და ნაკრებს შესარჩევ შეჯიბრებებში ძალიან გამოადგა.

დანიელებმა კარგად წარმართეს შესარჩევი ტურნირი, სადაც მეორე ადგილზე გამოვიდნენ ესპანელების შემდეგ. ეს უკვე მელერ-ნილსენის მეორე დიდი მიღწევაა ზედიზედ — მწვრთნელის ავტორიტეტი მეტად განმტკიცდა. ახლა იგი აცხადებს, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს გუნდს და სათავეში ჩაუდგება ფინეთის ნაკრებს.

დანიელები კმაყოფილნი დარჩნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალის წილისყრით. ისინი აღმოჩნდნენ „დ" ჯგუფში, სადაც მათი მეტოქეები არიან პორტუგალიელები, თურქები და ხორვატები. ბ. ლაუდრუპმა პირდაპირ განაცხადა: „ჩვენი ჯგუფი ყველაზე სუსტია". ამ აზრს ახლა ბევრი ექსპერტი იზიარებს. რიჰარდ მელერ-ნილსენმა ჯგუფს „თანაბარი" უწოდა და ერთგვარი უპირატესობა ხორვატებს მიანიჭა. „საფეხბურთო დიპლომატიის" ენაზე კი ეს იმას ნიშნავს, რომ დანიელები ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს, და, რა თქმა უნდა, აპირებენ მეოთხედფინალში გასვლას.

მიქაელ ლაუდრუპი

ყველაფერი პირველად

ფეხბურთის სტატისტიკის თვალსაზრისით ევროპის X ჩემპიონატის პირველმა მატჩმა ინგლისისა და შვეიცარიის გუნდებს შორის ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოგვცა.

პირველი გოლი გაიტანა ინგლისელმა ფორვარდმა ალენ შირერმა 23-ე წუთზე.

პირველი პენალტი დაინიშნა 83-ე წუთზე ინგლისელთა კარში (ტონი ადამსმა ითამაშა ხელით), რომელიც წარმატებით გამოიყენა შვეიცარიელთა თავდამსხმელმა კუბილაი ტიურკილმაზმა.

პირველი ყვითელი ბარათი დაიმსახურა ინგლისელმა მცველმა გარი ნევილმა უხეში თამაშისათვის (25-ე წუთი).

პირველად მოხვდა ბურთი ძელს მე-40 წუთზე. შვეიცარიელი თავდამსხმელი მარკო გრასის უძლიერესი დარტყმის შემდეგ.

პირველი შეცვლა დაფიქსირდა 68-ე წუთზე ინგლისელთა გუნდში. სტივ მაკმანამანი (თავდამსხმელი) და ტედი შერინგემი (თავდამსხმელი) შესაბამისად შეცვალეს სტივ სტოუნმა (ნახევარმცველი) და ნიკ ბარმბიმ (თავდამსხმელი).

ჩემპიონატის ირგვლივ

● როგორც გეორგ ჰაჯიმ განაცხადა, ევროპის ახლანდელი ჩემპიონატი მისთვის უკანასკნელი დიდი საერთაშორისო შეჯიბრებაა. იგი ფიქრობს, რომ მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისათვის 1998 წელს უკვე ხანდაზმული იქნება.

რა თქმა უნდა, ჰაჯი შეიძლება შემდეგშიც დარჩეს ნაკრებში. ყოველ შემთხვევაში, ფრანგებთან შეხვედრაში იგი საუკეთესო იყო და მეტოქეთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ „გენიალური ფეხბურთელიც" კი უწოდა.

● იტალიელებთან წაგების მიუხედავად, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ოლეგ რომანცევი სულაც არ არის იმედგაცრუებული. მან იტალიელებთან მატჩის შემდეგ აღიარა მეტოქის ძალა და განაცხადა, რომ არც ერთ ფეხბურთელს არაფერს უსაყვედურებს, არამედ ჩვეული რიტმით განაგრძობს მუშაობას.

როგორც რომანცევმა თქვა, ყველაფერს მეორე ტურის მატჩი გადაწყვეტს გერმანელებთან, რომელთა თამაშიც რუსი მწვრთნელის აზრით, მისმა ფეხბურთელებმა კარგად შეისწავლეს.

● მოხვდება თუ არა ბულგარელთა მეკარე ბორისლავ მიხაილოვი მეტად პრესტიჟულ „ასიანთა კლუბში"? მან ესპანელებთან ნაკრებში თავისი 97-ე მატჩი ითამაშა, წინასწარ ტურნირში შეუძლია ეს რიცხვი 99-მდე აიყვანოს. ერთი სიტყვით, თუ ბულგარელები მეოთხედფინალში გავიდნენ, ეს მატჩი მიხაილოვისათვის შეიძლება საიუბილეო აღმოჩნდეს.

● ეს საკითხი ნაკლებად აღელვებთ ესპანელ მეკარე ანდონი სუბისარეტასა და შვეიცარიელ მცველ ალენ გაიგერს. საქმე ის არის, რომ სუბისარეტას ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრებში 106 მატჩი ჰქონდა ჩატარებული, გაიგერს კი — 111.

● სანამდე გაიშლება „ზამბარა"? ტაქტიკა, რომელსაც იტალიის ნაკრების მწვრთნელი არიგო საკი მიმართავს, შეიძლება ფეხბურთში მთლად ახალი არ იყოს, მაგრამ გუნდი მას ძალზე ეფექტურად ახორციელებს. მოთამაშენი ერთმანეთთან ახლოს არიან განლაგებული, შემდეგ კი „ზამბარა" იშლება და დიდი ძალით მოქმედებს. ბურთის დაკარგვის შემთხვევაში ფეხბურთელები დროულად ბრუნდებიან უკან და „შავ სამუშაოს" არავინ ერიდება.

● ჯერჯერობით ყველაზე დიდი შეცდომა მსაჯს ესპანეთ-ბულგარეთის შეხვედრაში მოუვიდა, როდესაც მან არ ჩათვალა ხრისტო სტოიჩკოვის მიერ გატანილი, რომ იტყვიან 100 პროცენტიანი გოლი. როგორც სტოიჩკოვმა თქვა, იგი მაინც რამდენადმე დაამშვიდა იმ გარემოებამ, რომ შეძლო შემდეგში პენალტის გატანა. საერთოდ კი, როგორც ბულგარელთა მწვრთნელი დიმიტარ პენევი ფიქრობს, მის გუნდს უნდა მოეგო ეს მატჩი.

79-ე „ჯიროს“ ფინიში

ველოსპორტის მოყვარულებს, როგორც ყოველთვის, ვთავაზობთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სუპერრბოლის — „ჯირო დ,იტალიის“ ეტაპებზე გამარჯვებულთა სრულ ტექნიკურ ანგარიშს.

I ეტაპი. 170 კმ. სილვიო მარტინელი (იტალია, „საეკო“) — 4:02.58 (საათში 41,981 კმ).

II ეტაპი. 231 კმ. გლენ მაგნუსონი (შვეცია, „ამორე ე ვიტა“) — 6:39.46 (35,271).

III ეტაპი. 194 კმ. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, „პოლტი“) — 4:54.42 (40,516).

IV ეტაპი. 147 კმ. მარიო ჩიპოლინი (იტალია, „საეკო“) — 3:31.39 (41,673).

V ეტაპი. 196 კმ. ანხელ ედო (ესპანეთი, „კელმე“) — 5:01.59 (38,943).

VI ეტაპი. 179 კმ. პასკალ ერგე (საფრანგეთი, „ფესტინა“) — 4:29.45 (39,815).

VII ეტაპი. 164 კმ. დავიდე რებელინი (იტალია, „პოლტი“) — 4:30.35 (36,366).

VIII ეტაპი. 135 კმ. მარიო ჩიპოლინი — 3:04.34 (39,289).

IX ეტაპი. 184 კმ. ენრიკო ძაინა (იტალია, „კარერა“) — 4:24.48 (41,692).

X ეტაპი. 155 კმ. როდოლფო მასი (იტალია, „ჩერამიკე რეფინი“) — 3:56.38 (41,583).

XI ეტაპი. 130 კმ. მარიო ჩიპოლინი — 2:51.48 (45,402).

XII ეტაპი. 195 კმ. ფაბიანო ფონტანელი (იტალია, „ემ ჯი“) 4:38.44 (41,976).

XIII ეტაპი. 115 კმ, პაველ ტონკოვი (რუსეთი „პანარია“) 3:13.22 (35,680).

XIV ეტაპი. 205 კმ. პასკალ რიშარი (შვეიცარია, „ემ ჯი“) — 5:57.48 (33,874).

XV ეტაპი. 224 კმ. ჯანი ბუნიო (იტალია, „ემ ჯი“) — 5:48.06 (40,506).

XVI ეტაპი. 180 კმ. ალექსანდრე გონჩენკოვი (უკრაინა, „როსლოტო“) — 4:47.30 (37,565).

XVII ეტაპი. 236 კმ. ნიკოლა ბუ ლარსენი (დანია, „ამორე ე ვიტა“) — 5:46.58 (40,811).

XVIII ეტაპი. 216 კმ. მარიო ჩიპოლინი — 6:07.58 (35,221).

XIX ეტაპი. 62 კმ. ევგენი ბერზინი (რუსეთი, „გევისი“) — 1:13.59 (50,282).

XX ეტაპი. 220 კმ. ენრიკო ძაინა — 7:12.40 (30,508).

XXI ეტაპი. 250 კმ. ივან გოტი (იტალია, „ემ ჯი“) — 7:55.00 (31,579).

XXII ეტაპი. 176 კმ. სერგეი უშაკოვი (უკრაინა, „პოლტი“) — 4:43,04 (37,306).

22 ეტაპის ჯამში. 1. პაველ ტონკოვი (რუსეთი, „პანარია“) — 105:20.23.

ველოსიპედისტთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რბოლის „ჯირო დ, იტალიას დამთავრების შემდეგ 29 ივნისს, დაიწყება მიმდინარე სეზონის მთავარი ასპარეზობა — „ტურ დე ფრანსი“, რომელსაც, არც თუ უსაფუძვლოდ, მრავალდღიან რბოლებში მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ (დამთავრდება იგი 21 ივლისს, როცა ატლანტის ოლიმპიადა დაწყებული იქნება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ გზატკეცილზე მოასპარეზენი ოლიმპიადაში 31 ივლისს ჩაებმევიან). ფრანგული ტურის ორგანიზატორებმა დაასახელეს რბოლაში მონაწილე ოცდაორივე გუნდი. ესენი არიან: იტალიის 9, საფრანგეთის — 4, ესპანეთის — 3 და ჰოლანდიის 2 გუნდი. თითო გუნდს გამოიყვანენ გერმანია, აშშ, ბელგია და რუსეთი.

„დაუმსახურებელი“ დამსახურებული ოსტატი

(მეოთხე გვერდიდან)

შეიყვანა — პატარა ხარო, მაგრამ კარლომ იქვე მეორე გუნდი, ჩამოაყალიბა, კოლიაც შეიყვანა შემადგენლობაში და დაამარცხეს კიდეც უფროსები. იმ დღეს კარლომ ორი გოლი გაიტანა. მომავალი ოსტატი პირველ გუნდში გადაიყვანეს.

1946 წლის სეზონში რკინიგზის ტექნიკუმის გუნდი, თბილისის „ლოკომოტივის“ მეორე გუნდის სახელით, საქართველოს პირველობაზე გამოდიოდა მეორე ჯგუფში. ნიჭიერი ფეხბურთელი შეუმჩნევლად არ დარჩა „ლოკომოტივის“ პირველი გუნდის უფროს მწვრთნელს, ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტს კონსტანტინ კრაჩენკოს და აკი ჩარიცხა კიდეც თავის გუნდში. იმხანად „ლოკომოტივში“ თამაშობდნენ ვლადიმერ ლომაია, ედუარდ დავთიანი, გაერო ბოგატელო, ოთარ ლითანიშვილი (მომავალი მხატვარი და არქიტექტორი), არჩილ ბერძენიშვილი, ოთარ კინწურაშვილი, მოგვიანებით კოლექტივში მიიღეს ვლადიმერ ელოშვილი და ნიკოლოზ თოდრია. ორი წელიწადი ითამაშა კ. გაგნიძემ ამ გუნდში მარჯვენა შუამარბად. და აი, 1948 წელს, სეზონის ბოლოს, მწვრთნელებმა მიხეილ ბერძენიშვილმა და მიხაილ მინაევმა კარლო გაგნიძე და ვოვა ელოშვილი თბილისის „დინამოში“ ჩარიცხეს. ორი გასვლითი მატჩი ჩაატარა კ. გაგნიძემ დინამოელთა გუნდში სულ (მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და კუიბიშევის „კრილია მოვეტოვთან“) და... თბილისის „სპარტაკში„ ამოჰყო თავი თავის ძმასთან ერთად. გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ექვსთა ტურნირზე გაემგზავრა როსტოვში. თავდასხმის ხაზმა (აჩიკო ბერძენიშვილი, კარლო გაგნიძე, ავთანდილ პაიჭაძე, ვლადიმერ ლომაია, ამირან ბურჭულაძე) და მთლიანად გუნდმა საუკეთესო თამაში აჩვენა და უძლიერესთა შორის გამოსვლის უფლება მოიპოვა. ანდრო ჟორდანიას „სპარტაკში“ კ. გაგნიძემ „სტაჟირებაზე“ ერთი სეზონი გაატარა და 1951 წელს მ. იაკუშინმა იგი „დინამოში“ დააბრუნა — თავისი ჩვეული „8“ ნომერი მაისური ჩააცვა.

სწრაფი, დაულალავი, კარში კარგი დარტყმის, ზუსტი პასის ოსტატი გახლდათ კ. გაგნიძე, მშვენივრად ებმებოდა კოლექტიურ თამაშში, მუდამ გრძნობდა პარტნიორის ჩანაფიქრს. ვარჯიშზე ხომ ყველასათვის მისაბაძი იყო, დისციპლინირებული, მეგობრული, გულისხმიერი. მსაჯებისაგან არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია არასოდეს, თუმცა ისეთი არბიტრების „მეთვალყურეობით“ თამაშობდა, როგორნიც იყვნენ ნიკოლაი ლატიშევი, ელმარ საარი, მიხაილ დიმიტრიევი, ნიკოლაი უსოვი, პიოტრ ბელოვი, ტოფიკ ბახრამოვი.

კ. გაგნიძე წარმატებით ართმევდა თავს ორთაბრძოლას ისეთ გამოცდილ მესვეურებთან, როგორნიც იყვნენ იგორ ნეტო, ალექსეი პეტროვი, იური ვოინოვი, ალექსეი სოლოვიოვი, სტანისლავ ზავიდონოვი. ბევრჯერ გვინახავს, თუ როგორ დაუჭერიათ ხელით მეტოქის კარისაკენ ელვისებურად გაჭრილი ჩვენი ფეხმარდი ოსტატი. ლამაზი ბურთები აქვს გატანილი მას თბილისში: მოსკოვის „ტორპედოსთან“ (3-1), ცსკა-სთან (2-0), გასვლით მატჩებში: მოსკოვის „დინამოსთან“ (2-3), ლენინგრადის „ზენიტთან“ (2-1) და სხვა.

დღეს, ალბათ, ფეხბურთის მოყვარულთა მხოლოდ ვიწრო წრემ თუ იცის, რომ 1952 წლის XV ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების წინ, საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბორის არკადიევმა ჩვენს ავთანდილ ღოღობერიძესთან, ვლადიმერ მარღანიასთან, გიორგი ანთაძესთან, ნიაზ ძიაპშიპასთან, მიხეილ ჯუღელთან ერთად გუნდის კანდიდატად კონსტანტინე გაგნიძეც მიიწვია. თავდაპირველად ერთთვიან შეკრებას ლესელიძის სპორტიულ ბაზაზე შეუდგნენ 1952 წლის იანვარში. დაახლოებით 40-მდე კანდიდატი მიიწვიეს სავარჯიშოდ. ბორის არკადიევთან ერთად შეკრებას ატარებდნენ მიხაილ ბუტუსოვი, ევგენი ელისეევი, გრიგოლ ფედოტოვი. შავი ზღვის სანაპიროზე ძირითადად ორმხრივ თამაშებს მართავდნენ. ლესელიძიდან ნაკრები თბილისში ჩამოვიდა. მისი ფეხბურთელები სასტუმრო „ევროპაში“ („რუსთავი“) ცხოვრობდნენ პლეხანოვზე და „დინამოს“ სტადიონზე ვარჯიშობდნენ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში. მერე ნაკრები მოსკოვს გაემგზავრა, ცდკ-ს ბაზაზე სავარჯიშოდ. ერთ-ერთ მატჩში მოსკოვის „სპარტაკთან“ ბ. არკადიევმა კ. გაგნიძეც გამოიყვანა მოედანზე. საერთოდ ბ. არკადიევს უყვარდა სწრაფი, ენერგიული ფეხბურთელები, თანაც კ. გაგნიძემ კარგად ააწყო თამაში მარჯვენა გარემარბთან ვასილი ტროფიმოვთან. მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, მოედნის ცენტრში ერთდროულად მოინდომეს ბურთზე თავის დარტყმა კ. გაგნიძემ და სპარტაკელთა ნახევარმცველმა ოლეგ ტიმაკოვმა. შეჯახება ისეთი ძლიერი იყო, თვალთ დაუბნელდა — თამაში ვეღარ შეძლო და მიატოვა მინდორი. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ჩვენს ფეხბურთელს ტვინის შერყევა მიუღია.

სასტუმროს ნომერში მარტო ეძინა, დილით რომ გაიღვიძა, დაინახა, რომ გვერდით საწოლზე ვსევოლოდ ბობროვი იწვა. ეს ლეგენდარული ფეხბურთელი თავდაპირველად მიწვეული არ ჰყავდათ ნაკრებში და, ცხადია, შეკრებაზეც არ ყოფილა.

— ვოტ ვიძიშ, ტრუდნო იმ სტალო ი ვსიო-ტაკი ვიზვალი მენია! — ჩაილაპარაკა ცნობილმა ოსტატმა.

სულ მალე მიხაილ იაკუშინიც გამოჩნდა ბაზაზე — ისიც მიიწვიეს ნაკრებში მეორე მწვრთნელად. თავის მხრივ კი „ცბიერმა მიხეიმ“ თბილისიდან ჩვენი ავთანდილ ჭკუასელი გამოიძახა ნაკრებში და აკი წაიყვანა კიდეც ოლიმპიადაზე.

მართალია, კ. გაგნიძეს ფინეთის ოლიმპიურ სტადიონებზე არ მოუწია თამაში, მაგრამ მისი ოსტატობით მოხიბლული იყვნენ სხვადასხვა ქვეყანაში — პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ბირმაში, ლუქსემბურგში, ირანში, ჩინეთში...

10 სეზონი ითამაშა სპორტის ოსტატმა კონსტანტინე გაგნიძემ თბილისის „დინამოში“, სულ ჩემპიონატის 149 მატჩი ჩაატარა და 38 ბურთი გაიტანა, მოიპოვა ორი ვერცხლისა (1951 და 1953 წლები) და ერთი ბრინჯაოს (1959) მედალი.

სხვათა შორის, 1956 წელს კ. გაგნიძისათვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება უნდა მიენიჭებინათ. ორჯერ მოვიდა დეპეშა მოსკოვიდან საქართველოს სპორტკომიტეტში: სასწრაფოდ გამოგზავნეთო საჭირო საბუთები კ. გაგანიძეზე! მაგრამ...

— ვთვლიდი, რომ ამ წოდების მიღებისათვის ჩემზე არანაკლები ღირსი იყო ჩემი მეგობარი ვოვა ელოშვილი, მაგრამ იმ ცნობილი ინციდენტის შემდეგ კიეველ მიხაილ კომანთან, ჩვენს მოთამაშეზე საკავშირო ფეხბურთის ფედერაციაში „გაბრაზებულები“ იყვნენ და, როგორც ხედავთ, არ აღირსეს ეს უმაღლესი სპორტული წოდება. ამიტომ მეც გავჯიუტდი მაშინ და საბუთები საერთოდ არ გაგვიგზავნია მოსკოვში. დამერწმუნეთ, ვოვას ვერ ვუღალატებდი, ბოლოს და ბოლოს წლების განმავლობაში ხომ ერთად ვთამაშობდით „დინამოშიც“ და „ლოკომოტივშიც“.

ალბათ, დასასრულს კონსტანტინეს უმცროს ძმაზე — ნიკოლოზ გაგნიძეზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა — იგი თბილისის „დინამოში“ 1952-1955 წლებში თამაშობდა ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზებში. დაულალავი, ენერგიული ფეხბურთელი იყო, მუდამ სასარგებლოდ მოქმედებდა კოლექტივისათვის, „სპარტაკი“ იყო ეს თუ „დინამო“.

ოთარ ნოზაძე

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ძალების (ვმს) გუნდების მატჩი თბილისში. კონსტანტინე გაგნიძის (თეთრ მაისურში) ორთაბრძოლა სტუმართა მცველთან.

ფოტო ავტორის არქივიდან.

„როლან გაროსის“ ლაურეატები

ორკვირიანი მძაფრი ბატალიების შემდეგ, როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, დამთავრდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში („როლან გაროსი“) — წლევანდელი სეზონის „დიდი სლემის“ რიგით მეორე შეჯიბრება. ტრადიციულად გთავაზობთ ტურნირის საბოლოო შედეგებს.

ვაჟები. ფინალი. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — მიჰაელ შტიხი (გერმანია) 7:6, 7:5, 7:6.

ქალები. ფინალი. შტეფი გრაფი (გერმანია) — არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 6:3, 6:7, 10:8.

ვაჟები. წყვილები. ფინალი. ევგენი კაფელნიკოვი, დანიელ ვაცეკი (რუსეთი, ჩეხეთი) — გიფორჟე, იაკობ ჰლასეკი (საფრანგეთი, შვეიცარია) 6:2, 6:3.

ქალები. წყვილები. ფინალი. ლინდსეი დევენპორტი, მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — ჯიჯი ფერნანდესი, ნატალია ზვერევა (აშშ, ბელარუსი) 6:2,6:1.

შერეული წყვილები. ფინალი. პატრისია ტარაბინი, ხავიერ ფრანა (არგენტინა) — ნიკოლ არენდტი, ლუკ ჯენსენი (აშშ) 6:2, 6:2.

ცნობილი გახდა ფინალისტთა ჰონორარების რაოდენობა. კაფელნიკოვს, როგორც ვაჟთა ტურნირში გამარჯვებულს ერგო 3.452.000 ფრანგული ფრანკი, გრაფს კი ქალებში ანალოგიური წარმატებისათვის ოდნავ უფრო ნაკლები — 3.224.000. მილიონ ფრანკზე მეტი მიიღეს ფინალისტებმა. შტიხს გადაეცა 1.726.000, სანჩესს კი 1.612.000 ფრანკი.

ინფორმაცია

- **ველოსპორტი.** 43-ე ველორბოლაში „კრიტერიუმ დოფინე“ საპრიზო ადგილები, როგორც მოსალოდნელი იყო ფავორიტებმა დაისაკუთრეს – მიგელ ინდურაინმა (ესპანეთი), ტონი რომინგერმა (შვეიცარია) და რიშარ ვირანკმა (საფრანგეთი). კიდევ ერთი ფავორიტი – მსოფლიო კლასიფიკაციით №1 ველოსიპედისტი, ფრანგი ლორან ჟალაბერი დაღლილობის გამო ბოლო ეტაპიდან „ჩამოვიდა“.
- **კრივი.** საუკუნის ბრძოლა უწოდეს მიმომხილველებმა მექსიკელ ხულიო სესარ ჩავესისა და ამერიკელ ოსკარ დე ლა ჰოიას ორთაბრძოლას, რომელსაც უნდა გამოევლინა მსოფლიო ჩემპიონი 63,5 კგ წონაში (ვბს-ს ვერსიით). სამწუხაროდ, მექსიკელს პირველსავე რაუნდში დაუზიანდა წარბი, მერე კი ვერ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა მეტოქეს და მსაჯმა, სავსებით სამართლიანად შეწყვიტა ბრძოლა, გამარჯვება კი დე ლა ჰოიას მიანიჭა: ჩავესის მე-100 ბრძოლა პროფესიულ რინგზე წარუმატებელი გამოდგა. ამერიკელმა კი 22-ე გამარჯვება და მასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა.
- **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატის VI ეტაპი წრიულ რბოლაში „საფრანგეთის გრან-პრის“ სახელს ატარებდა. 500 კბსმ კლასის მანქანებში უძლიერესი იყო ავსტრალიელი მაიკლ დუენი, 250-იანებში — იტალიელი მასიმილიანო ბიაჯი, 125-იანებში კი მეორე იტალიელი სტეფანო პერუჯინი. უნდა აღინიშნოს, რომ ექვსი ეტაპის ჯამში დუენი და ბიაჯი ლიდერები არიან, 125-იანებში კი ჯერჯერობით დაწინაურებულია იაპონელი ხარუჩიკა აოკი.

საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილი

(სოფ. ჩარგალი)



შამათი 3 სვლაში

კროსვორდი



თარაზულად: 5. მოჭადრაკეთა სიძლიერის შეფასების კოეფიციენტი, 6. საქართველოს ტელევიზიის სპორტული გადაცემა, 9. გერმანიის ცნობილი საფეხბურთო გუნდი, 11. ბრაზილიელი ფეხბურთელი — მსოფლიო ჩემპიონი, 12. გრძელი და ვიწრო მარხილი, რომელშიაც აბამენ ირმებს ან ძაღლებს, 14. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 18. ოლიმპიური კოდექსი, 20. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისში, 21. მიუწვდომელი ოცნება, 22. ებრაელთა კომპლექსური სპორტული ღონისძიება, 23. გერმანელი ფეხბურთელი- მეკარე, 24. საევროპოდ გამზადებული საქართველოს საფეხბურთო გუნდი.

შვეულად: 1. ლითონი, რომლითაც სპორტული მედალიც მზადდება, 2. ნბას საკალათბურთო გუნდი, 3. ფეხის გადადგმა, 4. წარსულში სახელგანთქმული ქართველი მორაგბე, 7. არგენტინული წარმოშობის მწვრთნელი — მოღვაწეობდა ევროპაში, 8. ცირკის მსახიობი ან ტანმოვარჯიშე, 10. წარსულში თბილისის „დინამოს“ ცნობილი არაქართველი ფეხბურთელი, 12. იტალიის საფეხბურთო გუნდი, 13. მცხეთის საფეხბურთო გუნდი, 15. მომზადება, წვრთნა... 16. ცნობილი გერმანელი მორბენალი ქალი, 17. მძლეოსნების იმპორტით ცნობილი აფრიკის ერთ-ერთი ქვეყანა, 19. უშნოდ აწოწილი, 21. ცხენის შესაკაზმი ინვენტარის ნაწილი.

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2. სალუქვაძე, 4. სპარე, 5. ლეიბი, 6. კაპიტანი, 7. პროგრესი, 11. ლიმბეკი, 13. აშვეთია, 15. „ლივერპული“, 16. პრიზი, 17. შტიხი, 20. ბოტასი, 22. ამფორა, 25. ტაიჰი, 28. ელისტა, 29. „ინტერი“, 30. ფინტი, 31. ახალბედა, 32. იპოდრომი.

შვეულად: 1. ოქმი, 2. სხარტი, 3. ელინგი, 6. კომისარი, 8. იუპიტერი, 9. აბრა, 10. უეფა, 12. იუბილარი, 13. ანალოგია, 14. გრენობლი, 18. ატაცი, 19. მორფი, 20. ბარსელონა, 21. სპარტა, 23. მცველი, 24. ავტოდრომი, 26. კაისა, 27. კეტჩი.

საქართველოსა და თბილისის კრივის ფედერაციები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოკრივე, სპორტის ოსტატი

ბიძი მუხაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოკრივე

ბიძი მუხაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ეთერი მანგოშვილი, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია.